№ 190

ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ-წვრილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877 -1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 190

ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

25 ოქტომბერს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

გენერალ-ადიუტანტი

თავ. ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 12 საათზე, გარდაცვალებულის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ოტტენის სახლში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—2

თავ. ივანე გიორგის ძე ჯორჯაძე და კნ. სუსანა ბორისის ასული ჯორჯაძისა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ 22 ოქტომბერს, გოლოვინის პროსპექტზე შეტაკების დროს, დახოცილ იქმნენ კნეინას ძვირფასი ასული და სიძე

ეკატერინე ივანეს ასული და გიორგი ალექსანდრეს ძე ვაჩნაძენი

განსვენებულებს დასასაფლავებლად გამოასვენებენ დღეს, 26 ოქტომბერს, დილის 10 საათზე სადგომიდან (ელისაბედის ქუჩა, № 29) ნიკოლოზის ეკლესიაში. 1—1

ძმანი დიასამიძენი და კნეინა ეკატერინე ნიკოლოზის ასული წერეთლისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა საყვარლის მამიდის

კნეინა ნინო, დავით დიასამიძის ასულის,

ერისთავისას

დაკრძალვა იქნება 27 ღვინობისთვეს სოფ. საქაშეთში.

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შინაგანის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა.

(20—7)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ჟორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ქ. ნ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამბეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ზაზანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

მ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **მ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სალოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი **ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

გამარჯვება.

ჩვენ არ შეგვიძლიან მკითხველს მივულოცოთ სრული გამარჯვება. ამას გვავალებს პოლიტიკური გონიერება და ამჟამად თვით რეალურ ცხოვრებაში არსებული ძალთა განწყობილება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან მკითხველს მივულოცოთ დასაწყისი გამარჯვებისა.

დიაღ, ეს დასაწყისია,—დასაწყისი იმ პოლიტიკურ ცვლილებისა, რომელიც უნდა გამოიხატოს მოქალაქობრივ მონობისა და უუფლებობის მოსპობასა და უფლებრივ სახელმწიფო წესწყობილების განხორციელებაში. ეს აუცილებელი შედეგია თვით საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებისა, და 17 ოქტომბერს მთავრობამაც საჯაროდ აღიარა, რომ მას აღარ შეუძლიან თავიდან აიცილოს ეს აუცილებლობა და გზა შეუკრას იმ საზოგადოებრივ მსვლელობას, რომელიც უკვე განვლეს ყველა კულტურულ სახელმწიფოებმა. 17 ოქტომბერს გამოცემულ მანიფესტში აღიარებულია პრინციპი თვითმპყრობელობის განუსაზღვრელ უფლების შეკვეცისა,—გამოცხადებულია, რომ რუსეთში უნდა შემოღებულ იქმნას საკონსტიტუციო წყობილება და სახელმწიფო „დუმას“,—რომელსაც ჩვენ დღემდის მის უუფლებობის აღსანიშნავად, „სათათბიროს“ ვეძახდით და ამის შემდეგ კი „საბჭოს“ ვუწოდებთ,—უნდა მიეცეს კანონმდებლობის უფლება ისე, როგორც აქვთ ეს უფლება ყველა პარლამენტებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. გარდა ამისა, იმავე მანიფესტში „გარდუვალ“ კანონადაა აღიარებული „თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, შეკრებისა და შეკავშირებისა და ხელუხლებლობა პიროვნებისა“. მოქალაქობრივი უფლებები, რომელთაც დღემდის არ სცნობდა მთავრობა, დღეს გარდუვალ ძირითად კანონად გამოცხადდა. ეს გამოცხადება ოფიციალურად აღიარებაა იმისი, რომ ძველი პოლიტიკური წყობილება, რომელიც მთელი ხალხის მონობაზე იყო დამყარებული, ირღვევა და მის ნანგრევებზე უნდა აგებულ იქმნას ახალი პოლიტიკური შენობა, რომელსაც საფუძვლად ექნება მოქალაქობრივობა და ხალხის უფლება-მოსილობა.

რასაკვირველია, ასეთი ცვლილება არაა ნაყოფი ვისიმე გულკეთილობისა. ამის გულისთვის იბრძოდა მთელი რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა შეგნებული და მოწინავე ნაწილი და ეს ბრძოლა იყო სასტიკი, დაუნდობელი. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ძველი შენობა დაეცვა და ამისათვის არავითარ საშუალებას არ ზოგავდა „აჯანყების“ მომხრეთა გასანადგურებლად. მაგრამ, როგორც ყველამ იცის, სხვადასხვაგვარ სასტიკ ღონისძიებამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია და ბოლო დროს მოძრაობა ისე გაიზარდა და ისეთი საშინელი გამოხატულება მიიღო, რომ მთავრობის ძალღონე სრულიად დაიქსაქსა და მასში სრული დეზორგანიზაცია მოხდა.

წინად, სანამ ხალხის ძალა ისე ცხადად და ნათლად არ სჩანდა, როგორც დღეს, იყვნენ ისეთი პესიმისტები, რომელნიც ეჭვის თვალით უცქეროდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობას და არა სჯეროდათ, რომ ხალხის რევოლუციონურ ძალას გაემარჯვა მთავრობაზე, რომელსაც აუარებელი ჯარი ჰყავს თავის დასაცავად და ხელთ აუარებელი ტეხნიკური იარაღიც აქვს „ამბოხებაში“ მონაწილეობის მიმღებთა გასანადგურებლად. მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა ყველას დაანახვა, რომ მათი უიმედობა შეცდომა იყო, ვინაიდან მთავრობა, მიუხედავად თავის ტეხნიკურ ძალღონის უპირატესობისა, იძულებული ხდება, გზა დაუცალოს ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს და დაემორჩილოს ხალხის ძალას. ეს დღეს ფაქტია, რომელსაც ყველა ამჩნევს და ხედავს.

აქ აღნიშნულ „პესიმისტთა“ შეცდომა იქიდან წარმოსდგა, რომ მათ სწორე აზრი არ ჰქონდათ შედგენილი სარევოლუციო მოძრაობაზე. ყველამ იცის, რომ დღეს ჯარს ისეთი გაუმჯობესებული იარაღები აქვს, რომ ამ ასი წლის წინად ხმარებული იარაღები მათთან სახსენებელიც კი არ არის და ამიტომ ის დრო, მართლაც, დიდი ხანია, წავიდა, როცა შეიარაღებულ ხალხს შეეძლო გაწვრთნილ ჯარის წინააღმდეგ პირდაპირ საბრძოლველად გამოსვლა. ხალხს არ შეუძლიან მთავრობის დამარცხება იარაღით, თუ გაწვრთნილი და იარაღის მქონე ჯარი მთავრობას იცავს. მაგრამ ამ ერთი საუკუნის განმავლობაში საზოგადოების ეკონომიურმა განვითარებამ შექმნა სხვაგვარი ნიადაგი ბრძოლისა, რომელიც ხშირად თოფსა და ზარბაზანზე უფრო ძლიერია და რომლის მოხმარება თვით შეგნებულ ხალხის ნებაზე ჰკიდია. შრომის საზოგადოებრივ განაწილების გამო დღეს სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილები ეკონომიურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ამიტომ მათ შორის ცოტა ხნითაც კი მიმოსვლის შეჩერება და საეკონომიო ძაფის გაწყვეტა მოასწავებს მთელი სახელმწიფო მექანიზმის შეჩერებას და მთავრობის აქტიურ ძალის დასუსტებას.

სწორედ ამგვარ საშუალებას მიმართა ოქტომბრის შუა რიცხვებში რუსეთის შეერთებულმა სარევოლუციო ძალამ. თითქმის მთელი რუსეთი გაიფიცა, მიმოსვლა შესწყდა, სახელმწიფოს მომქმედი მანქანა ძალაუნებურად გაჩერდა და— მთავრობაც საზოგადოების მოთხოვნილებას დაემორჩილა...

მაგრამ ეს დამორჩილება ჯერ კიდევ არ არის სრული, ხალხის პოლიტიკური გამარჯვება არ არის არც დამთავრებული და არც უზრუნველყოფილი. ძველი მდგომარეობა, რომელიც შექმნილია პოლიციურ რეჟიმის დროს, დღესაც ფაქტიურად ძალაშია და, მაშასადამე, შეუძლებელია ფაქტიურად განხორციელება იმ მოქალაქობრივ უფლებებისა, რომლებიც ძირითად კანონადაა გამოცხადებული ხელმწიფის მანიფესტში. ჩვენში, მაგალითად, მანიფესტის შემდეგაც არსებობს სამხედრო წესი, დღესაც იკლებს სოფლებს კაზაკებისაგან შემდგარი ეკზეკუცია, ადამიანის პიროვნება დღესაც არაა ხელუხლებელი და უზრუნველყოფილი; 22 ოქტომბერს ტფილისში კაზაკები ისევე სცემდნენ და სძარცვიდნენ მშვიდ მცხოვრებლებს, როგორც 17 ოქტომბრამდის, როცა არავითარი მანიფესტი არ იყო მოქალაქობრივ უფლებათა ცნობის შესახებ გამოცემული.

გარდა ამისა თვით საზოგადოებაშიაც თავი წამოჰყვეს შეუგნებელმა ელემენტებმა, რომელნიც კმაყოფილნი არ არიან მომხდარ და მოსალოდნელ ცვლილებით. მთელს რუსეთში საშინელი აკლება და ძარცვა გლეჯაა გაჩაღებული, რომელსაც ბევრ ადგილას ცხადად მხარს უჭერს პოლიცია. ასეთი მოვლენის მაგალითია 22 ოქტომბერს ტფილისში მომხდარი ამბავი.

და ყველას, ვინც ცოტათი შეგნებული და ცნობიერია, მართებს ამ დროს განსაკუთრებული სიფრთხილე და თადარიგიანობა... რასაკვირველია, ასეთივე თადარიგიანობა მართებს კავკასიის უმაღლეს მთავრობასაც, თუ მას მართლა სწადიან ხელმწიფის მანიფესტის განხორციელება და ხალხის დამშვიდება. ბიუროკრატია უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ წარსულის დაბრუნება შეუძლებელია და უმაღლესადაც გამოცხადებულ რეფორმის აღსრულება აუცილებელია.

ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ყველა ის განსაკუთრებული ღონისძიებანი, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში შემოღებული, და უწესოების მოხდენის საშუალება უნდა მოესპოთ იმ ბნელ ძალებს, რომელნიც ძარცვა-გლეჯის დასაწყებად შემთხვევას უთვალთვალებენ...

კრებების თავისუფლება

—

რად უნდა ხალხს ქაღალდზე ჩამოწერილი უფლება, თუ ამ უფლების განხორციელებას ვერ მოახერხებს.

რა საჭიროა დიდის ზეიმით, მანიფესტების სახით გამოცხადებული თავისუფლება, თუ ხიშტი და მათრახი აღაგმავს ყველას, ვინც ეცდება ისარგებლოს ამ თავისუფლებით?

დიდი ხნის დაბეჩავების შემდეგ ხალხმა რუსეთში გამოაცხადა, რომ მას წინანდელივით უუფლებოდ ცხოვრება არ შეუძლიან, რომ მას უნდა სახელმწიფოს მართვასა და გამგეობაში მიიღოს პირდაპირი მონაწილეობა, რადგანაც რუსეთის წარსულმა ცხოვრებამ, ხალხის დამონებამ და იაპონიასთან საშინელმა ომიანობამ ნათლად დაუმტკიცეს ყველას, რომ სახელმწიფო საქმეების გაძღოლა არ შეუძლიან იმათ, ვინც დღემდის ბატონობდა სახელმწიფოში.

ან როგორ მოახერხებდნენ ხალხის რიგიან სამსახურს ისინი, ვინც ხალხზე სრულებით დამოუკიდებელი იყო, ვისი დაყენება ან გადაყენება ხალხს სრულებით არ ეკითხებოდა, ვისაც შეეძლო თავის ნებაზე წაღმა ან უკუღმა ატრიალებინა ყველაფერი სახელმწიფოში.

ხალხმა ვეღარ აიტანა ასეთი მდგომარეობა და მოითხოვა თავისი კუთვნილი უფლება. მისი მოთხოვნა ეუცხოვათ ძველ რეჟიმის მომხრეებს, სწვდნენ ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლთ და აქეთ-იქეთ გადაასახლეს ისინი, ვინც ცოცხალი გადურჩა გაბატონებულ წრეების ძალმომრეობას. ბოროტ-მოქმედებად ითვლებოდა, თუ ვინმე საჯაროდ იტყოდა, რომ საჭიროა დამონებულ ხალხის განთავისუფლება. გაბატონებული წრეები ცდილობდნენ ხალხის დამუნჯებას, მის ძალთა დაქსაქსვას და ამიტომ არ აძლევდნენ სიტყვის, კრების და კავშირების თავისუფლებას... და ხალხიც ამ მდგომარეობას მორჩილად იტანდა.

მაგრამ ის, რაც შესაძლებელი იყო წინად, შეუძლებელი შეიქმნა ახლა, როდესაც ხალხმა თხოვნა—პეტიციების მაგიერად პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადა წინეთ გაბატონებულ წრეებს და ხელი მიჰყო ძალით იმ უფლებების მოპოვებას, რომელსაც ნებით არავინ აძლევდა.

აქ მეტია ხსენებულ ბრძოლის დაწვრილებითი მოთხრობა, საკმარისია მხოლოდ გავითვალისწინოთ ამ ბრძოლის შედეგი. სახელმწიფოში გაბატონებული წრეები ჯერ დაპირებით ცდილობდნენ ბრძოლის მოსპობას და შემდეგ, როდესაც ამ საშუალებამ არ გასჭრა, წვრილ-წვრილ და კუდ-მოკვეცილ რეფორმებით უნდოდათ ხალხის ძალების დაქსაქსვა... რეფორმებს ჰპირდებოდნენ, რეფორმები შემოჰქონდათ და იმავე დროს ხალხს უბრძანებდნენ,—გაჩუმდი, მორჩილების ნიშნად ქედი მოიხარე, ხმას ნუ ამოიღებ და სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მიღებას ნუ მოითხოვო...

მაგრამ ხალხი სწორედ ამას ითხოვდა, ხალხს რეფორმები არ აკმაყოფილებდა, ხალხს უფლება უნდა, ლაპარაკის, კრების, კანონმდებლობის უფლება, რომ შემდეგ ეს რეფორმები თვით ხალხს შემოეღო სახელმწიფოში, ხალხს უფლება უნდოდა, ხალხს წყალობა არ იტაცებდა.

ამ უფლებას კი არ აძლევდნენ... წყალობა იყო ყველა ის რეფორმა და კომისიები, რომელიც ცხოვრებაში შემოღების უმალვე ისპობოდა და უნაყოფოდ რჩებოდა, წყალობა იყო სათათბიროს მოწვევა და 12 ოქტომბრის ბრძანება რომლის ძალითაც ხალხს „შეკრების უფლება“ ენიჭებოდა.

ხალხს, 12 ოქტომბრის ბრძანების ძალით შეეძლო შეკრება, მაგრამ როგორ და რანაირად. ქუჩაში, მოედნებზე შეკრება ნება დართული არ იყო, სადმე ოთახში უნდა მოეყარა ხალხს თავი და კრების მიზანი, სალაპარაკო საგნები უნდა შეეთვალა წინდაწინვე პოლიციისთვის, პოლიცია უნდა დასწრებოდა კრებებს, პოლიციას ნება ჰქონდა თავის სურვილით დაეშალა კრება, როდესაც იფიქრებდა, რომ დამსწრე ხალხი უკანონო რამეზედ ბაასობდა.

ეს ბრძანება 12 ოქტომბერს არის გამოცემული,—მას შემდეგ რუსეთში ის დიდმნიშვნელოვანი ამბები მოხდა, რომელიც გუშინდელ ნომერში გვაქვს მოხსენებული. ხალხი შეინძრა, საერთო გაფიცვამ საზოგადო ცხოვრება შეცვალა, მზადდებოდა უფრო მნიშვნელოვანი და ძლიერი ხალხის მოძრაობა და მმართველი წრეები იძულებული შეიქმნენ კიდევ ერთხელ დაეთმოთ ხალხისთვის:—17 ოქტომბერს გამოცემული მანიფესტი აცხადებს, რომ მთავრობა ამიერიდან სცნობს რუსეთში სიტყვის, კავშირების და კრებების თავისუფლებას.

მანიფესტი იმ უფლებებს ანიჭებს ხალხს, რომელიც მას იმ დღემდის არ ჰქონდა, მანიფესტში იმიტომ არის მოხსენებული კრებების და სიტყვის თავისუფლება, რომ 17 ოქტომბრამდის გამოცემულ ბრძანებების და კანონების ძალით, ხალხს ეს უფლებები არ ჰქონდა, არ ჰქონდა სავსებით, 12 ოქტომბრის ბრძანებაც ხალხს საკმარის უფლებას არ ანიჭებდა და სწორედ ამიტომ შეიქმნა საჭირო კრების თავისუფლების მოხსენება მანიფესტში.

ცხოვრებაში ყოველთვის უკანასკნელ კანონს აქვს ძალა, ახალ კანონის გამოცემით თავისთავად ისპობა ის უწინდელი კანონები, რომელიც ამ ახალ კანონის წინააღმდეგი ყოფილა. ამიტომ 17 ოქტომბრის მანიფესტით თავისთავად ისპობა 12 ოქტომბრის ბრძანება კრებების შესახებ და წინანდელი კანონმდებლობაც, რომელიც სპობდა კრებების თავისუფლებას.

რას ვხედავთ ნამდვილად? როდესაც ხალხმა მოინდომა ახალ უფლების განხორციელება, მოისურვა შეკრება სალაპარაკოდ, მისი ქცევა უკანონოდ ჩასთვალეს და 12 ოქტომბერს გამოცემულ მთავრობის ბრძანებაზე მიუთითეს და უთხრეს,—ამ ბრძანების ძალით წინდაწინვე უნდა შეგვატყობინოთ, თუ რა გაქვთ კრებაზე სალაპარაკო, არსებულ კანონების საწინააღმდეგო კრინტიც არ უნდა დასძრათო.

რატომ? რა შუაშია აქ 12 ოქტომბრის ბრძანება,—იგი ისევე გაუქმებულია, როგორც მთელი წინანდელი კანონმდებლობა, რომელიც სპობდა კრებების თავისუფლებას.

რატომ? რად უნდა იხელმძღვანელოს ხალხმა არსებულის კანონმდებლობით და მას რად არ უნდა ჰქონდეს უფლება ილაპარაკოს არსებულ კანონების საწინააღმდეგოდ? ხალხს ხომ, 17 ოქტომბრის მანიფესტით, მიღებული აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კანონმდებლობაში, ახალი კანონები გამოსცეს, ძველები მოსპოს, და სამისოდ კი საჭიროა კრებებზე კანონების შესახები მსჯელობა, საჭიროა არსებულ კანონმდებლობის კრიტიკა.

17 ოქტომბრის მანიფესტი რუსეთის ძირითად კანონებს ეხება და მათ სცვლის და ეს ცვლილების ხანა ამ მანიფესტით არ დასრულებულა, ჯერ კიდევ ხშირად უნდა ილაპარაკოს ხალხმა ამ ძირითად კანონების შესახებ, უნდა ილაპარაკოს კრებებზე, საჯაროდ.

მაგრამ ადმინისტრაციას ხალხის თავისუფალი ლაპარაკი ეხამუშება... აშინებს... სხვა და სხვა საშუალებით ცდილობს იგი ხელახლად მოუსპოს ხალხს ის უფლება, რომელიც მას ბრძოლით აქვს მოპოვებული,—ამისათვის დღეს 12 ოქტომბრის ბრძანებით ხელმძღვანელობს, ხვალ იხელმძღვანელებს იმ კანონით, რომელიც ამ ათის წლის წინეთ არის გამოცემული...

გაბატონებულ წრეებისაგან ხალხის დაბეჩავებამ ყველგან გამოიწვია ის მოძრაობა, რომელსაც ჰქვიან რევოლუცია, გამოიწვია რუსეთშიაც და ეს მოძრაობა აქ ჯერ არ დასრულებულა, ამ მოძრაობას აძლიერებს ადმინისტრაციისაგან იმ კანონების სისრულეში მოუყვანლობა, რომელიც გამოუცია უმაღლეს მთავრობას... მთავრობა საჭიროდ სცნობს დათმობას, საამისოდ, მანიფესტის სახით, კანონებს სცემს,— ადმინისტრაცია კი, რომელიც სხვა დროს ხელმწიფის ყოველივე სიტყვას კანონად ისახავდა, ახლა აცხადებს,—მანიფესტი კანონი არ არისო, მანიფესტი არ არისო ჩვენთვის სავალდებულო, ჩვენ არ ვემორჩილებით ჩვენი უფროსის ბრძანებას... და... ამის შედეგად მათრახი, ხიშტი და ტყვია საქმის გადამწყვეტად გამოდის იქ, სადაც უნდა იყოს გაბატონებული სიტყვის თავისუფლება!...

რა მოჰყვება ადმინისტრაციის ამნაირ ქცევას? ზედ მეტი გამწვავება, უკმაყოფილება, სისხლის ღვრა და ხალხის ჟლეტა!... და ვინ არის ამაში პასუხის მგებელი? ნუ თუ ის, ვინც ცდილობს ერთხელვე ხანგრძლივის მეცადინეობის შემდეგ მოპოვებული უფლება აღარ დაჰკარგოს და არავის არ შეალახვინოს თავის პიროვნების თავისუფლება?...

აბა, რა პასუხს გასცემენ ხალხის მომავალ სამსჯავროს წინაშე ისინი, ვინც ძალმომრეობით ცდილობდა ხალხის ხელახლად დაჩაგვრას, ვინც ეუბნებოდა მას,—გაქვს კრებების თავისუფლება, მაგრამ მხოლოდ ჩემ საქებად და სადიდებლადაო.

ვარ. ფ—ი.

ახალ ეპოქის გარიჟრაჟზე.

—

ძველმა რეჟიმმა ვეღარ გაუძლო განახლების გრიგალის ქროლას, ქვეყნის მძარცველმა ბიუროკრატიამ ვეღარ გაუძლო ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას და, აი, აღსრულდა ამ ნახევარ საუკუნის წინად რუსეთის პოლიტიკურ ცაზე აღბეჭდილი მუქარა—იმედი: „მენე, ტეკელ პერეს!“.

განმათავისუფლებელი მოძრაობა დიდი ხნიდან სწარმოებდა იმპერიაში, მარა იგი საზოგადოების გულის სიღრმეში იყო ჩამალული; ნამდვილი ხალხური, მასსობრივი ხასიათი მან მიიღო უკანასკნელ რამდენიმე წლის განმავლობაში. ხოლო მიმდინარე წლის დამდეგიდან კი საშინელი სოციალური ქარიშხალის მომასწავებელი გრგვინვა სძრავდა, არყევდა მთელ იმპერიას, იგი შორით-შორამდე მიგორავდა, ძლიერად ასქდებოდა თვით კავკასიონის ქედს და ამღელვარებდა, ამხედრებდა ხალხს საისტორიო, სამკვდრო-სასიცოცხლო ანგარიშის გასასწორებლად. მოძრაობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. უკანასკნელ რამდენიმე კვირის

განმავლობაში აღდგა, აბობოქრდა მთელი იმპერია; პეტერბურგიდან ტფილისამდე და ვარშავიდან ურალამდე ახალი ქვეყანა ერთი აზრით, ერთი გრძნობით გაიმსჭვალა და ეს ერთობა, გასჭედა ხალხის უზომო ტანჯვა-ვაებამ, დედების წამებულმა სიყვარულმა, სატრფოთა გულიდან ამოგლეჯილ წმინდათა-წმინდა, მუშაკთა სისხლით გაბასრულ სამართლიანობამ, ჭეშმარიტებამ, და ამ ერთობას შარავანდედად ადგას თავ-განწირულ მებრძოლთა გმირობა-გოლიათობა.

ამ ბოლო კვირებში ვიხილეთ ისტორიაში უმაგალითო სანახაობა. მთელ იმპერიაში შესწყდა ჩვეულებრივი ცხოვრება, გაჩერდა, გაიყინა ფაბრიკა-ქარხნებში თუ სახელოსნოებში უზარ-მაზარი და უმცირესი მაშინები და ხელ-საწყოები, გაჩერდა რკინის გზის მატარებლები, შესწყდა ტრამვაების, ეტლების მიმოსვლა, შესწყდა ყოველივე მოძრაობა; დაიკეტა მაღაზიები, დუქნები; ქალაქები მოიცვა ღამის წყვდიადმა. თითქოს შესწყდა საზოგადო მაჯის ცემა; თითქოს ჩაკვდა, ჩაიფუფქა თვითონ სიცოცხლე. სამარისებურ დუმილს ხანდასმით არღვევდა საზარელი ხმით სიკვდილ-სიცოცხლის უკანასკნელი ამბორი. და ეს დუმილი ჰგვანდა დიად ქარიშხალ-ქარტეხილის, თუ ვულკანის ამოხეთქის წინამორბედ მყუდროებას, რომელიც ამღელვარებს გულს და აფხიზლებს გონებას. ფრთა შესხმული გრძნობა-გონება „თავხედად“ სწევდა ისტორიის საიდუმლოების ფარდას და იქ განსჭვრეტდა ახალ ეპოქის პირველ გარიჟრაჟს.

და წინად-გრძნობა, საბედნიეროდ, არ გვატყუებდა. მალე მრავალ ათასიან ხალხის ზღვამ*) გადმოხეთქა ტფილისის ქუჩებზე, კავკასიის ყველა კუთხეზე, ისე როგორც მთელ იმპერიაში. რამდენიმე დღის განმავლობაში ხალხის ზღვა წითელ დროშებით, მუსიკით, სიმღერა-გალობით: „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს, ჩამოვიბერტყოთ ფერხთ მისი მტვერი“... მიმოდიოდა ქალაქს და, სოფელს დიად პროცესია-მანიფესტაციად. იგი მუსიკა, იგი სიმღერა, ვით ლოცვის ხმები, შორით-შორამდე ეფინებოდა, შეიჭრებოდა ღარიბთა ქოხში და იქ მუშაკთა დატანჯულ მკერდში გააღვიძებდა უნაზეს გრძნობებს, ძლიერ სურვილსა დიად საქმეთა აღსასრულებლად. ხალხის ყიჟინა, ბრძოლის ჰიმნი სძრავდა მიდამოს, მკვეთრად აპობდა, სწმენდდა ძველ რეჟიმით მოწამლულ-მოშხამულ ჰაერს; და ქვეყანას კი ატყობინებდა აკრძალულ ხილს, პოლიტიკურ თავისუფლების ხელში ჩაგდებას!

დიაღ, თუნდ დაიჯერეთ და თუნდა არა, ეს მოხდა, ეს ფაქტი არის! დიახ, გაწყდა ძლიერი ჯაჭვი, საშუალო საუკუნეებს რომ ძალით ატმასნებდა თანამედროვე ცხოვრებას და მით არყევდა და სულს უხუთავდა ამ უკანასკნელის განვითარებას; დიახ, წაიქცა ბოძი, რომელზედაც გადებული იყო უზარმაზარ საპყრობილის დაყანდებული სათავე; დაიმტვრა ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებდა ამდენი საუკუნის უკუღმართობა და სიდუხჭირე; დიახ, დაიმტვრა ბორკილები მონობისა, დაჩაგრულობის, დავრდომილობის და გათახსირების; დაიმტვრა ხალხის დაჭრილ-დასერილ ხელ-ფეხზე დადებული მძიმე ხუნდები. ჩვენს ჰორიზონტზეც ამობრწყინდა თავისუფლების პირველი სხივი, იგია მახარობელი, რომ გათავდება ბარბაროსული, შავ-ბნელი ხანა და რომ ეხლა კი ჩვენც დაგვეწყობა თანამედროვე ისტორია პირველი სხივის დანახვაზედვე ბნელი ძალები, ვით ტარტაროზნი, იგრიხებიან, იწმახნებიან და ბეჯითად, სწორედ მისრიალობენ ჯოჯოხეთისკენ; მათ უკან მისდევს ხალხის გულიდან ამოხეთქილი, კბილთა ღრჭენით ამონაკვნესი წყევა-კრულვა და შეჩვენება.

თავისუფლებავ, ტკბილ-სანეტარო, რათა, რისთვინ დაგვტანჯე, რისთვინ გვაწამე ამდენი ხნის მოცდა-ლოდინით? და ანუ შენი ქვეყნად მოვლენა რათ არის ხოლმე შეერთებული ხალხის ამგვარ უსაზღვრო, მწვავე ტანჯვა-ვაებასა და ტკივილებთან? და ეგ შენი სპეტაკი სახე რათ არის შებღალული ადამიანის სისხლის ღვარებით? მაგ შენ ბრწყინვალე სხივზე საზარლად რად ციმციმებენ სისხლის ცვარები? ეგ სისხლის ღვარები იმ ტანჯულ პროლეტარების სისხლია, ვისი მუსკულებით და ნერვებით შექმნილია მთელი ეს ქვეყანა. აი, ეგ ცვარები ჯან ღონით, სიცოცხლით სავსე ჭაბუკის სისხლი არის, იმ ჭაბუკისა, ვის გულშიაც ანთებული იყო ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული; ეს მეორე ცვარები სისხლია ახალგაზდა მეცნიერის, ვისაც ასეთის იმედებით შევტრფოდით, ვისი მეცნიერული გამოკვლევანი, უანგარო შრომა ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთ უადვილებდა ეკლიან გზაზე სიარულს; აი კიდევ საყვარელ მწერალის სისხლი, დაუნდობლად, შეუბრალებლად რომ კალამი გადუტეხეს, მკვეთრი კალამი, მტერს რომ ლახვარივით გულს ესობოდა და მოყვარეს კი სიხარულს ჰფენდა; ეს მეორე ცვარები სისხლია ჯერ გადუშლელი, გაუხარებელ ყვავილის, უმანკო ქალწულისა, ვინც ხალხის წმინდა საქმისთვის კელაპტრივით იწოდა; ეს ცვარებიც სისხლია იმ მოხუცისა, ვისი მრავალი ნაოჭებით დაღარული სახე მოწმობდა გამოვლილ უზომო ტანჯვა-წამებას; მან მაინც ქედი არ მოუხარა მძლავრ უკმეხობას, ბარბაროსობას და ბოლომდის მედგრად ღაღადებდა: „მე მაინც ვიტყვი, რომ დედა-მიწა ტრიალებსო!“ მრავალი დღეები და წელიწადები დაალამა ჩამობნელებულ, დახავსებულ, ნოტიო საპყრობილეში და ბოლოს დღის სინათლე დაინახა მხოლოდ იმისთვის, რომ მისი გვამი გაესრისათ... ჯოჯოხეთია მოსაგონებლად! აი, კიდევ სისხლი იმ ადამიანების, ვისი ვინაობის აღდგენა გასაჭირია; კაცმა არ იცის, რისთვის, ვისთვის ეხილათ თვალები, რისთვის დადიოდნენ დედამიწაზე; აი კიდევ... ოხ, საშინელებავ! აი ცის ნამებივით მოპკურებული ცვარები, ეს უმანკო ბავშვების სისხლია!.. ძალნო ციურნო, რათა? ვის რა დაუშავეს, ვის რა აწყინეს? ვისთვინ, რისთვინ იყო საჭირო ბავშვების უმანკო სისხლი?!?! რატომ გული არ შესწყვეტავს ცემას? რატომ ცნობიერება არ გადმოტრიალდება, რატომ თვალები არ გვიბნელდება?.. ეს ჯოჯოხეთი, ეს ამოდენა სისხლი?!

ოხ, თავისუფლებავ, რას ნიშნავს ყველა ეს? მითხარი, გამაგებინე! თავისუფლებავ, დაილაპარაკე!.. რას მოასწავებს ეს საშინელება? „—კიდევ გაქვს რამე სათქმელი?“ მეკითხები. სათქმელი როგორ არა მაქვს, სათქმელი ბევრი მაქვს, რომ კალამი არ მითრთოდეს, ხელიდან არ მვარდებოდეს. მითხარი თავისუფლებავ! თუ შენი ქვეყნად მოვლენა ასეთ საშინელებასთან არის შეერთებული, რატომ იმდენი ლმობიერება მაინც არა გაქვს, რომ ასე ნათლად, ასე კრძალვით,—მართალი რომ ვთქვათ,—ასე ძუნწად არ გვიახლოვდებოდე, და არ ამოაშუქებდე მარტოთ-მარტო მხოლოდშობილ სხივს? რატომ ერთბაშად არ აღმობრწყინდები, როგორც ცხოველ მყოფელი, დიდებული მზე?

რატომ ერთბაშად არ დასთრგუნავ ქვეყნიერების წყვდიადს? რატომ ერთბაშად არ მოსწმენდავ ხალხს ტანჯვის ცრემლებს? რატომ ერთის დაკვრით, შენის ღვთიურ მარჯვენის ერთის მოქნევით არ მილეწ მოლეწავ მოქალაქურ და პოლიტიკურ, ეკონომიურ მონობა-დაბეჩავებას? რატომ უცბად არ მოსპობ ადამიანისაგან ადამიანის ყოველგვარ ჩაგვრას? რატომ შენის ქვეყნად მოვლინებისათანავე არა სპობ ადამიანთა ყოველგვარ უბედურების მთავარ მიზეზს, რატომ არ დასთრგუნავ ქონებრივ უთანასწორობას?

მარა შენი სისხლით გაბასრული სახე გონებას მირევს, მე აღარ ძალმიძს ვუცქირო შენს საზარელ სხივს; რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი. გული მწუხარებით იკუმშება და ცრემლად დნება; აბა, დაინახე, ადამიანი რას დამსგავსებია! მისი გადაფითრებული სახე, დასიებულ-დაწითლებული, ტანჯვის მორევი—თვალები, გალურჯებული მთრთოლვარე ტუჩები; იგი მთელის სხეულით, მთელის არსებით კანკალ-თახთახებს; მას ცრემლები აღრჩობს, მუხლი ეკვეთება. რა თავში ვიხლით ქვეყნის თუნდა თვალ-მარგალიტით აღსავსე მთა-ბარს და ან რას ვაქნევთ ზურმუხტოვან, ლაჟვარდოვან ცისა კამარას, თუ იგი შავბნელად გვეჩვენება, და დედამიწას ფეხს ვეღარ ვადგავთ, რადგან მას საყვარელ ადამიანთა აჩრდილი გადაჰფარვია!? და ან რას ვაქნევთ თვითონ სიცოცხლეს, არა სჯობია «დანის ერთ დაკვრით მოვსპოთ იგი და მოვისვენოთ?« აი რას ამბობს იგი ადამიანი!

„— შესდეგ, საბრალო ადამიანო!—ვამბობ მე (თავისუფლება)—სულით დაცემა უკვე დასაწყისია დასასრულისა. მაგას უფრთხოდეთ, ერიდებოდეთ ათასჯერ მეტად, ვიდრე სიკვდილსა! მაგრე რომ იყოს, ქვეყნის წინ სრბოლა სულ ერთიანად შეჩერდებოდა; მაგრე რომ იყოს, ადამიანს რომ მაგაზე მეტი არ შესძლებოდა, იგი ჯერ ისევ კლდე-ღრესა, გამოქვაბულებს, უდაბურ ტყეში კვლავ იქნებოდა ნადირებისაგან შეშინებული; მაგრამ რომ იყოს, ჰა, ჰა, ჰა,—თავისუფლებამ გადიხარხარა, მოსწმინდა გონებას ბინდი და გულს ჩააბა სპილენძის სიმი.

— ადამიანო,—განაგრძო იმან,—ზე აღსდექი და შემომხედე, ერთ წუთასაც კი არ მომაშორო აროდეს თვალი. შუბლი უმარჯვე ჩემს სხივის სითბოს, რად გავიწყდება, ადამიანმა ის იმოქმედა რაც სამყაროის ვერც ერთ სულდგმულმა ვერ მოახერხა; მან ხელში იგდო ქვეყნიერების საიდუმლოო, დაიმორჩილა მთელი ბუნება, ადამიანი—ბუნების ძალა ბუნებას ჰმეფობს და ამოძრავებს თვის სურვილებზე; ადამიანო, შენ თვითონა ხარ ღვთიური, საკვირველება რამე ქმნილება; თავისუფლება—შენი შვილი ვარ, შენს უბე-კალთას აღზრდილი, დაბადებული; ბასრი მახვილი—მე რომ მიპყრია— შენის ხელებით გაჭედილია; ჭეშმარიტება, მე რომ ვატარებ შენის გონების ნაყოფი არის! გული მოიცე და გასალკლდევდი, თუ გინდა მართლა აღშენდეს დიდებული იგი ტაძარი, შენ რომ ესწრაფვი. წეღან რომ გმირებს გაიხსენებდი და იმათ ბრძოლას თავგანწირულსა, აი, იმათი გოლიათობა პირდაპირ აღებს სამოთხის კარებს. ყური დამიგდე, აი, რას ამბობს ჩემს არსებაში ჩაქსოვილი ჭეშმარიტება:

პასუხი იმ კითხვებზე, შენ რომ მომეცი, სულ ერთ სიტყვაში გამოითქმება და ეს სიტყვაა ისტორია! ისტორიის, საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების გარდაუვალი, ულმობელი, სასტიკი კანონები! სწორედ ამ კანონების ახსნა-განმარტებაშია სამოთხის გასაღები. ამ ცხოვრების კანონთა ცოდნა-შეგნება უხვათ ჰფინეთ და ანვითარეთ მშრომელთა კლასის გულ-გონებაში, მშრომელი კლასის, ეს ხელთ უპყრია თვით ისტორიის მძლავრი ბერკეტი, რამაც უნდა გადააბრუნოს მთელი ქვეყანა და აღაშენოს ეკკლესია მომავალისა. გულში აინთეთ დაუშრეტელი სიძულვილი, ზიზღი კლასობრივ, საზოგადოებრივ წყობილებისადმი, სამაგიეროდ განავითარეთ მშრომელთა შორის სოლიდარობა, ძმობა და სიყვარული. აი, ამ პირობით თქვენს ჰორიზონტზე მე მოვზიდავ ყველა ჩემ სხივებს, თან ამოვიყვან ჩემ ღვიძლ და სამართლიანობას, რომელიც ეხლა ქაჯეთს არის თქვენ მიერვე დატყვევებული, არ დავზანებთ, მალე ორივ და—ორი მნათობი წინ გაგიძღვებით პარნასისაკენ და იქ რომ ავალთ, ეხლანდელო ადამიანო,—მონავ და მეფევ, თვით გარდიქცევი შენ ანგელოზად. აი „შრომის სუფევა მოვა მაშინა ჭეშმარიტების მის ძლიერებით... მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთ-მოყვარება და, სათნოება“. მანამდის კი, გულში აინთეთ უქრობელი ღვთიური ცეცხლი. ცალ ხელში გქონდესთ თქვენ ეს მახვილი და მეორეში ცოდნის ლამპარი!

ვლ. დარჩიაშვილი.

---

*) ზოგიერთების ანგარიშით, იმ დღეს, როცა პროსპექტისაკენ გაემართა მანიფესტაცია, იგი შესდგებოდა არა ნაკლებ ასი ათასი ადამიანისა. როცა მანიფესტაციის თავი ნამესტნიკის სასახლეს მიუახლოვდა, ბოლო იმისი ჯერ ისევ მიხეილის ქუჩაზე იყო, კიროჩნის შესახვევთან.

⁂

ოცნების დღე

გაფიცვის მეხუთე დღე იყო. გაზეთ-დეპეშებს შეჩვეულმა შინ ვეღარ გავძელ და დილით ადრე გამოვედი, რომ სადმე დეპეშები წამეკითხა და ახალი, შავბნელი ამბები გამეგო. ერთ რედაქციაში შევიარე. დეპეშები ჯერ არ მიეღოთ. წაველი სახეტიალოდ, რომ ერთი ორი საათი როგორმე მომეკლა.

გოლოვინის პროსპექტზე, ბაღთან, დიდი ხნის უნახავი მეგობარი შემომხვდა. ისიც ჩემს დღეში იყო.

— გაიგე, კაცო, რას გაიძახიან?

— არა! რაო?

— კონსტიტუცია გამოაცხადესო!

— ჰა-ჰა-ჰა!.. ეხლანდელ რუსეთში კონსტიტუცია! ვინ მოჭორა?

— არა, აქ სულ მაგაზე ლაპარაკობენ. აბა, იმ ჯგუფთან მიდი!.. აგერ, ამასაც ეკითხე, რედაქციაში გაიგებდა!—დამანახა ერთი ნაცნობი, რომელიც ჩვენკენ მოდიოდა.

— მომილოცნია, მომილოცნია!—დაგვიძახა შორიდანვე ნაცნობმა და გამოეშურა.

— რა მოგილოცნია?

— კონსტიტუცია!

— რის კონსტიტუცია? ვინ გითხრა, სად გაიგე?

— ნამდვილად ვიცი. ღამის სამ საათზე მოსულა დეპეშა. აი, ხომ ხედავთ, ჯარიც აღარსად არის. თუ გინდათ, წავიდეთ, ფოსტაში გავიგოთ.

ჩვენ დავეთანხმეთ და ფოსტისკენ დავეშვით. ჩვენი ნაცნობი წინ მიგვიძღოდა.

ფოსტის კარებში ხიშტიანი სალდათი და პოლიციელი იდგნენ.

— Нельзя, нельзя!—ხელით მოიშორეს ჩვენი ნაცნობი.

ჩვენ ორივეს სიცილი აგვიტყდა.

— ეგეც შენი კონსტიტუცია!.. კარგი კონსტიტუციაა. მოშორდი, თორემ კონსტიტუცია ხიშტს გაძგერებს!

ჩვენი ნაცნობი გაშრა, მაგრამ ისევ ფეხი წინ წასდგა და პოლიციელს ერთი დიდი მოხელე დაუსახელა.

— Аа!.. подождите, доложимъ.

ცოტა ხანს შემდეგ ჩვენი ნაცნობი მიიწვიეს და მის რეკომენდაციით ჩვენც თან მივყევით. ტელეგრაფის განყოფილებაში დეპეშა მოგვცეს, რომელიც ჯერ ჩურჩულით და მერე ხმამაღლაც წავიკითხეთ.

ჩემი მეგობარი კიდევ დააცქერდა ქაღალდს და ბუტბუტებდა.

„სიტყვის თავისუფლება... ბეჭდვის თავისუფლება... კრების თავისუფლება... კავშირის თავისუფლება... დაუჯერებელია“.

ფოსტიდან ისევ გოლოვინის პროსპექტზე წამოვედით. ჩემი მეგობარი გაშტერებული იყო და ბუტბუტებდა: დაუჯერებელია.

— კაცო, იმ საზიზღარ და უნამუსო სიტყვების შემდეგ, ჯარს რომ უბძანეს: „პატრონებს ნუ დაიშურებთო“, როგორ დავიჯერო, რომ მეორე დღეს თავისუფლება გამოაცხადეს!..

გოლოვინის პროსპექტზე, არტისტიულ თეატრთან, ხალხი შეგროვილიყო. წითელი დროშა აფრიალეს. ხალხმა ყიჟინა დაჰკრა. ჩვენც იქით გავეშურეთ.

ჩემი მეგობარი სულ შეიცვალა: სახე გაუფითრდა, თვალები დაუკაკლდა, წამწამები დაეჭიმა.

ქვემოდან დრაგუნები მიაჭენებდნენ. ზემოდან ხიშტიანი სალდათები გამოჩნდნენ. დრაგუნებმა ხალხის ჯგუფს მოუარეს და, სადაც უფრო ხალვათობა იყო, იქ გაიარეს. სალდათებსაც ხალხმა გზა გაურღვია და გაატარა.

დასძახეს „მარსელიეზა“.

ჩვენ ფეხი უფრო ავაჩქარეთ.

ერთი ახალგაზდა, რომელიც ხალხის შუაგულ მხარზე აეყვანათ, ხმამაღლა ლაპარაკობდა და წითელ დროშას აფრიალებდა. ჩვენ ხალხს ვერ შევატანეთ და ორატორის ლაპარაკი არ გვესმოდა. ორიოდე სიტყვას-კი მოვკარით ყური: „ძირს თვითმპყრობელობა!“ „გაუმარჯოს თავისუფლებას!“

ხალხიც გრიალებდა:

„ძირს! ძირს!“

„გაუმარჯოს! გაუმარჯოს!“

ჩემს მეგობარს თითქო გააცია,—შეაჟრჟოლა, აცახცახა. წითელ დროშასა და ორატორს თვალს არ აშორებდა. ულევ ღია თვალებიდან ცრემლი წასკდა... გამოტრიალდა და სადღაც გაეშურა. მე თვალი გავაყოლე, ნაბიჯს თანდათან უჩქარებდა, თითქო რაღასაც გაურბისო, და ერთ ქუჩაში თავქვე დაეშვა...

ხალხი მოზღვავდა. გოლოვინის პროსპექტი გაიჭედა. ყიჟინა გრიალად, გრგვინვად გადაიქცა,

---

ფელეტონი

ბაყაყთა აჯანყება

(ძველი ამბავი)

I

ბაყაყთ აიხსეს აბჯარი,
მავნედ აუშვეს ბეწვია;
ავს უპირობენ საქმესა,
თუ წეროს გუნდი ეწვია.
მკვიდრი გამართეს სანგლები,
დიდრონი მეტის-მეტია.
ადვილად მოიგერებენ
თუ მტერი ჩამოეტია.
შეკრეს ლერწმისა ჯებირით
მთელის ჭაობის გვერდია;
ჭაობის ზედა პირზედა
მოფინეს ხავსი, ბელტია,
რომ გძელ-კისერამ, გძელ-კლანჭამ
ვერ მოიკიდოს ფეხია.
მრავლად ჩააწყეს ნაღმები—
გავარდეს როგორც მეხია.
ბაყაყთა თავ-გამოდება,
მართლაც, რომ დასაკვეხია.
გაგზავნეს წეროებთანა
მოთათბირენი ცხრანია
და შეუთვალეს თავის მტერს:
„აღარ გახლავართ ბრმანია,
მოგვწყინდა ამდენი თმენა
გვაწვალებთ რაცა ხანია.
აღარ გვწადიან გემონოთ,
აღარ ვართ თქვენი ყმანია.
რა გიქირთ, ჩვენ არა გვეამდეთ,
ძოვეთ ბალახი მწვანია.
შინ რად გვიხდებით, კერაში,
რა გმართებს, ნეტავ, ვალია?
დაგვშორდით, თქვენთვის იყავით,
რადა გშურთ ჩვენთვის წყალია.
მოდი, დადეგით, იკმარეთ,
ამდენი ცოდვა-ბრალია.
თორემ ჩვენც კაცები გვქვიან,
გვიჭრის თვალი და ხმალია.
ამას გიბარებთ, წერონო,
საბაყაყეთოს ყმანია.
სამშობლოსათვის თავს დავდებთ,
მტკიცედ ფიცსა ვდებთ ძმანია—
და, იქნებ, ლოგინად გვექმნას
თქვენი ბუმბული, ფრთანია“.

II

წეროთ ძალიან იწყინეს
ბაყაყთა შემონათვალი,
იმ წამს თათბირი გამართეს,
სიტყვები ითქვა მრავალი:
„რომ გავტყდეთ, აღარ გვექნება
ხომ კარში გამოსავალი“.
წეროთ ბჭობის და თათბირის
აზრი ეს იყო მთავარი.
ბაყაყებს შემოუთვალეს
მათაც პასუხი მაგარი:
„დასაბამიდან ქვეყნისა
ჩვენი მონანი ჰყოფილხართ;
რამ დაგაგიჟათ, საწყლებო,
ვის რჩევას გადაჰყოლიხართ?
ვინ მოგიწამლათ, ნეტავი,
გონება ბილწის რჩევითა?!.
დადეგით, თორემ იცოდეთ
ძალიან დაისჯებითა!..
ერთს დღეს მთლიანად გაგმუსრავთ,
რომ გაქრეს თქვენი სინსილა.
ხომ იცით, წეროთა გუნდმა
თუ ციდან დაისისინა,
და ბასრი ხმლები ორ-პირი
აგიპრიალეთ ცხვირ-წინა
ვნახოთ, მას შემდეგ თუ კიდევ
ბაყაყმა დაიყიყინა“.

III

დაიძრა წეროს ლაშქარი,
ქუხრა გაისმა აბჯრისა.
არავინ არი მნახველი
ჯერ ამოდენა ჯარისა.
მიწას აღარა სწვდებოდა
სხივი მზისა და მთვარისა.
გაიბა წეროს რაზმებით
კიდენი მთა და ბარისა.
ბაყაყნიც მოუთმენლად
თავზე მტრის დასხმას ელოდნენ,
ზარბაზნებისა დადგმასა
ერთი-მეორეს ჰშველოდნენ.
სულ-კურთხეულმა ელიამ,
სცნო რა ამბავი ომისა,
მყის განიზრახა მოწყობა
საქმის მებრძოლთა შორისა:
მოყარა შავი ღრუბლები,
გამართა ელვის ციალი,
გრგვინვა და ჭექა საზარო
და ერთი ორონ-ტრიალი.
მიფანტ-მოფანტა ნისლები
შიგ წვიმა ჩაქსო მცრელია,
ვეღარ გაიგეს წეროთა
გზა თვისი წასასვლელია,
ზოგთა ჩრდილოეთს გასწიეს,
სხვებმა სამხრეთის მხარესა,
ერთნი ხევებში ჩაცვივდნენ
იქ თავი შეაფარესა.
ის გახარება თქვენს მტერსა,
რაც იმათ გაიხარესა,
განა არ უწყით, ყველგანაც,
კაცის თვალია მზირასა,
ოღონდ ირგოს რამ, აცეცებს,
გზას, წყალს და ჯაგის ძირასა.—
წეროს რომ თოფი ესროლოს,
რას ენახავთ გასაკვირალსა?!
ამისგან მრავალი წერო
გადადიოდა ყირასა...
ბაყაყთ კი იდღესასწაულეს
იქვე ჭყანტობის პირასა
შემუსრვა წეროს ლაშქრისა
იმავ მეორე დილასა.
და ვისგან მოხდა ეს საქმე
როდი ფიქრობდნენ იმასა!

ვაჟა-ფშაველა.

ეკზეკუცია

(სურათი)

კნეინა მარიამ ზუმბათაძისა, შვილი მისი ლევანი—ყმაწვილი, დრაგუნის აფიცერი და 18 წლის ქალი—ნატაშა დიდი, ქვითკირის სახლის აივანზე გამოსულიყვნენ და ოთხივ კუთხივ მაღალ ფერდობზე გადაშლილს სოფელს გადასცქეროდნენ.

კნეინას სკამი მოაჯირთან მიედგა, ერთი ხელი მოაჯირზე გადაედო, მეორეთი ისწორებდა ტანისამოსს, კაბებს, ჩიხტსა და კოპს და, ეტყობოდა, მისი არსება მოუსვენარ ფიქრებს შეეპყრო. გრძელი, აცრეცილი ცხვირი, თხელი, მოკუმული ტუჩები და წვრილი, ცოცხალი თვალები მის დანაოჭებულ, პუდრ შეყრილ სახეს რაღაც სისასტიკეს აძლევდნენ. ეტყობოდა კნეინა ან სადმე წასასვლელად ემზადებოდა, ან სტუმრებს ელოდა.

ნატაშა აივნის ერთს ბოძთან მოწყობილ დურბინდს არ ეშვებოდა და ხან ერთი, ხან მეორე მხრისკენ ატრიალებდა.

სოფლის ბოლოში, ვაკეზე აგებულ სასოფლო სკოლის ეზოში, რაღაცა ჩოჩქოლი, მისვლა-მოსვლა და ხმაურობა იყო. ერთ ჯგუფად, უსწორმასწოროდ ასამდე ერთგვარი ცხენი ება, ზოგი უბელო, ზოგიც ტილოებ გადაფარებული და კუდების ქნევითა და ფრუტუნით გაშმაგებული თივასა სჭამდა. სკოლის აივანსა და ეზოში ფუსფუსებდნენ მათი მხედარნი ზოგი ახალუხა, ზოგიც მთლად იარაღში ჩასმული და ლანძღვა-გინებითა და ყვირილით ერთმანეთს ეხმაურებოდნენ. სკოლის შენობის ფანჯრებში მრავალი უნაგირი, თოფი და სხვადასხვა ბარგი გამოსჩანდა.

ნატაშა მომეტებულად ამ მხარეს უყურებდა და ნანახსა და შთაბეჭდილებას აივანზე მყოფთ უზიარებდა.

— დედა, ის არსად არა სჩანს. მანდ რომ იყვეს, აქამდისინ კარში არ გამოვიდოდა?—უთხრა ბოლოს დედას და სოფელს ახლა უდურბინდოდ გადახედა.

ის იყო მოხდენილი, შუა ტანის, ჩასუქებულ-ჩათქვირებული ნორჩი ქალი, წითური სახით და დიდი შავი თვალებით. როგორც მოელვარე თვალებში, ისე მის ყოველ მიხვრა-მოხვრასა და ყოველ ნაბიჯში თავადური ამპარტავნობა გამოიხატებოდა. თმა კოხტად დაევარცხნა, აბრეშუმის კაბას განგებ აშრიალებდა და, ეტყობოდა, ისიც რაღაცას მოლოდინში იყო.

— ალბად, მანდ არ არის, შვილო, კანცელარიაში წავიდოდა—უპასუხა დედამ და პატარა ხანს იქით დაუმატა—თითქოს არ მამწონსო, ძაან კითხულობ!?

— კიდევაც არ მომწონს!—შესძახა ნატაშამ—არც სახე უვარგა, არც ტანი, არც ლაპარაკი! იცი დედა!—მხიარულ კილოზე გადავიდა ის—ლევანმა წეღან რა სთქვა? წვერ ულვაშში მომცდარ ყანას მიუგავსო!—გადიკისკისა ნატაშამ და გადახედა ლევანს, რომელიც ახალ მუნდირში გამოწყობილი წამოწოლილიყო ტახტზე და გაბუსხულიგით პაპიროზსა სწევდა.

— სულ „ლოვორიტ“, „ლოვორიტ“-ს გაიძახის—იცინოდა ნატაშა—და სულ თავის კაზაკებსა და ცხენებზე მელაპარაკება, ვერ გამოვიწვიე არშიყობაში, ვერა და ვერა! ჩოხა როგორ აცვია, ღმერთო, გეგონება, მასკარადისთვის გამოუწყვიათო... ხანჯალი, აი, ასე ირტყია, ახალუხი ასე აქვს ყელზე, ქუდი ასე ახურავს—ხელებით და სახის გამომეტყველებით აჩვენებდა ყველა ამას დედას და ნაძალადევად კისკისებდა, რადგან დედას სახეზე ატყობდა, რომ ყველა ეს არ ესიამოვნებოდა და აჯავრებდა.

— გეყოფა სისულელე, შენ ყველაზე ეგრე იცი! რა აქვს დასაწუნი? სხვა არა იყოს რა სტუმარია, სტუმარიც რომ არ იყოს, ჰკვიანი კაცია, მაგასთან ლაპარაკი სასიამოვნო უნდა იყოს შენთვის. შენ კი...—გაჯავრებით უთხრა კნეინამ, წამოდგა და ოთახში შევიდა.

ნატაშა ისევ დურბინდს მიუბრუნდა.

შუადღის 1 საათი იქნებოდა. თბილი, წყნარი შემოდგომის დღე იდგა, რაც ძალიან იშვიათი იყო ამ სოფელში. მოკრიალებულ ცაზე მზე გვერდ-გვერდად მიიპარებოდა და მკრთალს, სასიამოვნო სხივებს ჰფენდა მიყრუებულ სოფელს.

სოფელს თითქოს ეძინა. მინდვრებში მხენელ-მთესველები არსად ჩსანდნენ, არ გაისმოდა არსად გუთნის ჩვეულებრივი ჰოროველა, სახრეების სასტიკი ტყლაშა-ტყლუში და მეხრეების ერთხმად წამოძახილი „თბეე“-„მაამო“. აქა-იქ თვალს თუ მოჰკრავდით ერთს, ან ორს გზაში მიმავალს თავჩაქინდრულს გლეხს, რომელიც ფეხ-აკრებით ლობე-ლობე მიიპარებოდა და ცალი თვალით გვერდზე იხედებოდა. ვერ დაინახავდით ჩვეულებრივად კაკლის ხეებსა და ვენახების ლობეებთან მოსიარულე და მოთამაშე ბიჭ-ბუჭებსა, სახლების ეზოებში არ სჩანდნენ მოფუსფუსე გლეხის ქალები. ძაღლებიც კი აღარ ჰყეფდნენ. სოფელს ხმა ჩაეკმინდა, სოფელი მგლოვიარე ოჯახსა ჰგავდა... სოფელში ეგზეკუცია იდგა.

— დედა, დედა, მოდის, მოდის!—წამოიძახა უცბად ნატაშამ და დედის საძებნელად ოთახში შეიჭრა.

ლევანი ზანტად წამოდგა ზეზე და აივნიდან გაიხედა. ორღობეში, სახლისკენ დინჯად მოაბიჯებდა წვრილი, შუა ტანის აფიცერი დიდის ფაფახით, სირმებიან ჩოხით და ვერცხლის ქამარხანჯლით. უკან, რამდენიმე ნაბიჯზე მოწიწებით მოსდევდა ოთხი თოფიანი კაზაკი.

კნეინა საჩქაროდ აივანზე გამოვიდა, შვილს გვერდში ამოუდგა და ზრდილობიანის ღიმილით სტუმარს დამახინჯებულის რუსულის ენით შორიდანვე მიმართა.

— მობრძანდით, მობრძანდით! სად ხართ აქამდისინ? სადილი დიდიხანია მზად არის და თქვენ გელით!

— საქმეები, კნეინა, საქმეები, რას იზამ!—ბოხის, უსიამოვნო ხმით უპასუხა აფიცერმა, შესავალი კარებები მარდად აირბინა და ოთახში შევიდა.

— უნდა გითხრათ, კნეინა, რომ ძალიან შეუსმენელი ხალხი გყავთ—განაგრძო იმან, როდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი სახელდახელო დროშები მოემატა. ხალხი დაიძრა, გოლოვინის პროსპექტი აიარა და ვერის ხიდით დიდუბისკენ გაემართა...

—

საღამოს ჩემი მეგობარი მომაგონდა და მისი ნახვა მომინდა. მისმა საქციელმა და მეტადრე ცრემლებმა მეტად გამაოცეს. დარბაისელი კაცი, თითქმის სიყრმიდან ახალ აზრებით გატაცებული, მებრძოლი, ტანჯულ-დევნილი, ჭირსა და ვარამს შეჩვეული, ცხოვრების ქარ-ცეცხლში გამოვლილი და გაკაჟებული, ცრემლს აფრქვევდა!..

მეგობარი შინ დამხვდა. ჩემი მისვლა, დავატყე, იამა. ლაპარკის საგანს ძებნა არ უნდოდა.

— დილის აქეთ შინა ხარ? ველარსად შეგხვდი,

— აბა, ამისთანა დღეს შინ რა დამაყენებდა! სულ დავხეტიალობდი და, ეს არის, ეხლა დავბრუნდი. კაცო რა ამბებია, რას ვხედავ, რას მოვესწარ! გეგონება, ევროპის რომელსამე ქალაქში იყო და იქაურ მიტინგებს ესწრებოდე. ნახე, რა ყოფილა ჩვენი ხალხი? აქამომდე სულ იმას გვიკიჟინებდნენ, თქვენი ხალხი გაუნათლებელია, გაუგებარი, გაუთლელი, მხეცი, უდისციპლინო, საიროზო თვითმართველობისთვისაც კი მოუმზადებელიო. და ეხლა დაუბრმავდეთ თვალები! განა უკეთესი წესი და დისციპლინა-ლა შეიძლება ამისთანა დიდებულ მიტინგებზე. მთელ დღეს არც ერთი პატარა უწესოება არ მომხდარა. ბავშვებსაც კი, რომელნიც ხალხს მრავლად გარს ეხვეოდნენ, არაფერი სწყენიათ. ამ ფრიად დაუწყნარებელ და აღმაშფოთებელ დროს ყველა დინჯად იყო და თავის ადამიანურ პატივს იცავდა. ჟანდარმერებსა და პოლიციელებსაც-კი ხალხი ზრდილობიანად ეპყრობოდა და სალამსაც აძლევდა. ახლა, ორატორები! გეგონება სიყრმიდანვე მჭერმეტყველებას ასწავლიდნენ და ავარჯიშებდნენო. სწორედ რომ დიდებული დღე იყო.

— ჰა, ეჭვი გაგეფანტა. ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ თავისუფლებაა?

— დავრწმუნდი და, წარმოიდგინე, ვერც დავრწმუნდი. ჯერ ვერ გამოვრკვეულვარ, ვერ მომისაზრებია, რას უნდა მოასწავებდეს ეს თავისუფლება? რუსეთის კონსტიტუციაზე, რასაკვირველია, ლაპარაკიც არა ღირს. ჯერ სხვა ქვეყნების კონსტიტუცია რა არის, რომ რუსეთის ბიუროკრატიის კონსტიტუცია რა უნდა იყოს ამაზე არც მიფიქრია და არც ვიფიქრებ. მე მაოცებს სიტყვისა და ბეჭვდის თავისუფლება. ნუთუ ეს მართალია? ნუთუ ეს ძლიერი იარაღი მთავრობამ თავის ხელით მიაწოდა მოპირდაპირეს? სწორედ გითხრა, მე ამის მეტი არა მინდოდა-რა, ამას იქით ჩემი ოცნება არ მიდიოდა. სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება—ყველაფერია. ამ საოცნებო მანქანით ხალხს ძალიან მალე გამოაფხიზლებ და გონებრივად შეაიარაღებ. გონებას ხომ ვერც ერთი ხელით აგებული ციხე-სიმაგრე ვერ გაუძლებს. მე მეგონა, მთავრობა კონსტიტუციასაც მიიღებდა, ყველანაირ თვალთ-ასახვევ თავისუფლებასაც გამოაცხადებდა, ხოლო თავს ჩაიკლავდა და სიტყვის თავისუფლებას ვერ დასთმობდა. აი, რა მაოცებს და მაფიქრებს. ვირწმუნოთ ის თავისუფლება, რომელიც მეტად მარტივად და გასაგებად არის გამოცხადებული, თუ განმარტებას და სრულიად გაუქმებას უნდა ველოდეთ, როგორც არა-ერთხელ მომხდარა ამ ორ-სამ წლის განმავლობაში. ოო, სასტიკი დაცინვა, მთელ რუსეთის მასხარად აღება იქნება, თუ მართლა ესე მოხდა... დღეს გაიოცებდი, მე რომ ერთბაშად მოგშორდი. ველარ დავიჭირე თავი, გული ამიდუღდა. დიდიხნის ნატვრა მოულოდნელად ამისრულდა. მოულოდნელი სიხარული ხომ ზოგს გულს გაუხეთქს, ან ჭკუას შეურყევს. მე-კი ძალიან ადვილად ავიტანე და მოვინელე კიდეც. ეხლა ისევ დინჯად შემიძლიან ვიფიქრო და ვიაზრო, როგორ უნდა გამოვიყენოთ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება.

კარგა ხანს ვილაპარაკეთ მე და ჩემმა მეგობარმა, რას ავალებს ახალი თავისუფლება ყველა მწერალსა და მოღვაწეს. მაგრამ ნაადრევი ოცნება ჯერ ისევ ჩვენში დარჩეს:

თავისუფლება ძალით იმოსება!..

ხელუხლებელი მონა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი, 24. დაბა ჩახატაურიდან ამბავი მოვიდა, რომ აჯანყებული გურულები თავს დაესხნენ ჩახატაურში მდგარ პლასტუნის კაზაკებს და ყველანი—120 კაცამდე—ამოხოცესო. გურულებს კაზაკებისთვის ყოველივე იარაღი წაურთმევიათ.

ბათუმი, 24. სადგურ სუფსიდან ამბავი მოვიდა, რომ აჯანყებული გურულები, რიცხვით 4000-მდე კაცი, ახალ სისტემის თოფებითა და ყუმბარებით შეიარაღებულნი, გარს შემორტყმიან პოსტებს, სადაც ჯარის კაცნი დაბანაკებულან, დაუტყვევებიათ და არსად უშვებენ. გურულებს იარაღი და ტყვია-წამალიც ბლომად ჰქონიათო.

პეტერბურგი, 24. ის ცნობა, ვითომ ფინლიანდიაში რესპუბლიკა გამოაცხადესო, მართალი არ არის. ფინლიანდელებს მხოლოდ წინანდელ, წართმეულ უფლებათა აღდგენა უნდათ.

ხვალ ოფიციალურად გამოაცხადებენ მინისტრთა კაბინეტის შედგენას.

სასწავლებლებიდან, ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის გარდა, ჯარი გამოიყვანეს. ებრაელები აკლებას ელიან. აკლების ნიშნები ბევრია.

ხულიგანების წინააღმდეგ საბრძოლველ რაზმებს ადგენენ.

პოლიციამ ბიბილაური ჩუმად დამარხა. ადმინისტრაციამ „პატრიოტებს" დემონსტრაციის გამართვის ნება არ მისცა.

გაზეთებში დაბეჭდილია საქართველოს სამღვდელოების პეტიცია ავტოკეფალიის შესახებ.

გაზეთები სიხარულს აცხადებენ პობედონოსცევის წასვლის გამო.

უმაღლეს ბიუროკრატიულ წრეებში შესდგა პარტია, რომელიც ვიტტეს წინააღმდეგია და მომხრეა ძლიერ მთავრობისა და თვითმპყრობელობისა.

გაზეთები და ორგანიზაციები ტრეპოვის დათხოვნას თხოულობენ. ზოგი გაზეთი იუწყება, ტრეპოვი სამსახურიდან გადისო. გაზეთები იმასაც ამბობენ, ვითომ კავკასიის ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვიც თავს ანებებდეს სამსახურს. ვორონცოვისა და ტრეპოვის გარდა სამსახურიდან გადიან ვარშავის გენ.-გუბერნატორი სკალონი და ციმბირის გენ.-გუბ. კუტაისოვი.

რუსეთის ახალი სესხი არეულობის გამო ევროპაში ჯერჯერობით ვერ გაუნაღდებიათ.

ხაშური ბათუმისკენ რკინის გზის ლიანდაგი ზოგან აყრილია, ხიდებიც დაზიანებული—გაწყვეტილია ტელეგრაფის მავთულები.

ოდესსა. აქ მყოფ ქართველებში მოკლულია ლაბორანტი საბა კლდიაშვილი, სტუდენტი ბაირამოვი, ჯარის კაცი საბახტარაშვილი. დანარჩენი ქართველები გადარჩნენ.

ტფილისის გაზეთებს საკუთარი კორესპონდენტები დეპეშებით შემდეგ ამბებს ატყობინებენ:

პეტერბურგიდან, 22. ხვალ სტუდენტს ბიბილაურსა და დანარჩენ დახოცილებს დაასაფლავებენ. პანაშვიდს ყაზანის სობოროში გადაიხდიან. ქალაქი იგლოვებს. პეტერბურგელი ქართველები მოქალაქეთ მოუწოდებენ დახოცილთა პატივსაცემად. პარლამენტში მუშები 30 დეპუტატს გაგზავნიან. სადგომის ცენზს 600 მანათამდის დასწევენ.

როგორც ამბობენ, ფინანსთა მინისტრობას იკისრებს ვიტტე, შინაგან საქმეთა—ურუსოვი, საერო განათლებისა—კონი, სამხედრო—რედიგერი, საზღვაო—ბირილოვი, გზათა—ნემეშაევი, მიწად-მოქმედებისა—შიპოვი, ვაჭრობისა—რუხლოვი.

გაზეთები აქტიურ გზას დაადგნენ და სავსებით სარგებლობენ პრესსის თავისუფლებით.

ხმა დადის, 22-ს 18 გვარდიელი აფიცერი დააპატიმრესო.

მოსკოვიდან, 22. გუშინ, ღამის 11 საათზე, მანეჟიდან ხულიგანებმა და კაზაკებმა სასაფლაოდან მომავალ ხალხს თოფები დაუშინეს. მოკვდა 6, დაიჭრა—50. ხალხი დაიბნა, მაგრამ რევოლუციონერთა საბრძოლველმა ორგანიზაციამ წესიერება აღადგინა. დღეს აქა-იქ ხულიგანები მარტო მიმავალ სტუდენტებსა და მუშებს თავს ესხმიან. უნივერსიტეტთან მოჰკლეს 3 სტუდენტი. ცუდი ხმები დადის, ქალაქი აღელვებულია. ამბობენ, ხულიგანები ქალაქის აკლებას აპირობენ.

ოდესიდან, 22. უნივერსიტეტის ლაბორანტს ალექსანდრე კლდიაშვილსა და სხვა სტუდენტებს, რომელნიც შეტაკების დროს დახოცეს, უნივერსიტეტის ეზოში მარხავენ.

ბაქოდან 22 („არშალუისს" მოუვიდა). გუშინ რუსთა და თათართა ნაძირალებმა, ხულიგანებმა და „პეტროველებმა", პატრიოტულ მანიფესტაციის სახელით, კაზაკების მფარველობითა და უკვე გამოცდილ პოლიციის ხელმძღვანელობით, სომეხთა აკლება დაიწყეს. გადასწვეს მირზაბეკიანცისა, პირბუდაღოვისა, შაგიდანოვისა, ვართანოვისა და სხვათა სახლები პროსპექტზე, აიკლეს და გაქურდეს არაფელოვისა, პეტროსიანისა და ალამალიანის მაღაზიები და ქალანთაროვის ქარვასლა. ბიბი-ეიბათში ასამდე მუშა მოჰკლეს. მთავრობა ხელს არ ანძრევს. ყველაფერი წინდაწინვე მომზადებული. ჯარი და კაზაკები ხულიგანებს მფარველობენ. ვთხოვთ ტფილისელ მოღვაწეთ—სომხებს, ქართველებსა და რუსებს, ბაქოს ადმინისტრაციის ურცხვი და ბოროტი პოლიტიკა ნამესტნიკს შეატყობინონ. გუშინ გამოცხადებული მანიფესტი დღესვე ფეხქვეშ ითელება.

უწესოებამ იმატა. მძარცველნი და ხულიგანები არავის ინდობენ. მრავალი სახლი გადასწვეს; მათ შორის თუმანიანისა და ზუბალაშვილისა. მოკლეს ზუბალაშვილთა მოურავი გრიგორიევი. ადმინისტრაცია ვერაფერს არიგებს.

ხულიგანები და ,,პატრიოტები'' მაღაზიებს სძარცვავენ, წითელ ნიშნებს ხევენ და ინტელიგენტებსა და მუშებს სცემენ. დასახიჩრებულია 10. ჯარმა ათი კაცი დასჭრა. სოციალ-რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატები და დროშაკისტები მთავრობაზე მეტად გაბრაზებულნი არიან.

ბათუმიდან, 22. ამას წინად მოჰკლეს ჟანდარმი და პოლიციელი, დასჭრეს პოლიცმეისტერის თანაშემწე და კაზაკი. მუშებშიაც არიან დახოცილნი, გზა შეკრულია, ტელეგრაფი ცუდად მუშაობს.

ახალი ამბავი

◆ 24 ოქტომბერს, საღამოს, ტფილისში **დიდი შიშიანობა ჩამოვარდა**, რადგან ხმები გავრცელდა, სომხებსა და თათრებს შორის შეტაკება უნდა მოხდესო. დაჟინებით ლაპარაკობდნენ აგრეთვე, რომ „შეითან ბაზარში" სისხლის ღვრა კიდეც დაიწყო და თათრები და „ხულიგანები" ერთად მოქმედებენ სომხების წინააღმდეგო. საბედნიეროდ, ყველა ეს ხმები ტყუილი გამოდგა.

◆ ორშაბათს, 24 ოქტომბერს, ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის სადგომში, **ტფილისის პედაგოგთა კრება მოხდა**. პედაგოგებმა დაადგინეს, სწავლა შესწყვიტონ იმ დრომდე, ვიდრე ტფილისში სამხედრო წესები გაუქმებულ არ იქნება, სოფლებიდან ევაკუაცია გამოყვანილ არ იქნება და ის შენობები, რომლებიც ხოცვა-ჟლეტის შემდეგ კაზარმებად გადააკეთეს, თავიანთ პატრონებს არ დაუბრუნდება. შემუშავებულ რეზოლუციას ყველა პედაგოგებმა ხელი მოაწერეს.

◆ იმ სათადარიგო ჯარის-კაცთ, რომლებიც ამჟამად რკინის გზაზე მსახურებენ, უბრძანეს: **„თუ სამხედრო სამსახურში თავისს დროზე არ გამოცხადდით, სასტიკად დაისჯებითო.**

◆ გუშინ დილიდან ავჭალის ქუჩაზე **ცხენის რკინის გზაზე მოძრაობა დაიწყო.** ელექტრონის ტრამვაის ვაგონებმაც შუადღისას დაიწყეს სიარული.

◆ გოლოვინის პროსპექტზე დაჭრილთაგან **მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალნენ:** 1) ალექსანდრე ასლამაზის ძე ბარბაქაძე, შორაპნის მაზრის გლეხი, 2) იაგორ ფეოდოროვი, სტავროპოლის გუბ. გლეხი. 3) მიხეილ ბუდაღოვი, ტფილისის მოქალაქე, 4) ვლადიმერი აზარაპეტოვი, გიმნაზიელი, 5) არტემ პანასანიანცი, ბორჩალოს მაზრიდან და 6) რაფაელ ფრანცის ძე ბელიანი. ამავე საავადმყოფოში მიიტანეს მოკლული ნადეჟდა ივანეს ასული ბოგდანოვისა.

◆ **გუშინ დაასაფლავეს**, 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე **მოკლულნი**, გიმნაზიელი კოტიევი და კადეტთა კორპუსის მასწავლებელი შტაბს-კაპიტანი პროზოროვი.

◆ 22 ოქტომბერს, სროლის დროს, **იუნკრები და სალდათები გაზეთ ,,ვოზროჟდენიე''ს რედაქციაში შეცვივდნენ,** ჯერ ყველა იქ მყოფნი საკამენდატოში წაიყვანეს და შემდეგ რედაქციას ჩხრეკა დაუწყეს. ერთიანად დამტვრეულია ავეჯულობა და წაღებულია შტემპელები და ფული.

◆ **ქართულ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელნი და მოსწავლენი ამჟამად ერთობ ცუდს მდგომარეობაში არიან.** 22 ოქტომბრიდან სკოლაში ჩადგა ჯარი, თუმცა სკოლაში დროშისა და ერთი პროკლამაციის გარდა არა უპოვიათ-რა. მასწავლებლებმა მთავრობას წინადადება მისცეს, ამ მდგომარეობაში რადგან სწავლება არ შეგვიძლია, შეგირდებს სექტემბრამდე დავითხოვთო, მაგრამ წინადადება შეწყნარებულ არ იქმნა და უბრძანეს: სწავლა ახლავ დაიწყეთო. სწავლა სასწავლებელში ჯერ-ჯერობით მაინც არ არის. მოსწავლეებს და მასწავლებლებს ერთმანეთს შორის ქართულ ენაზე ლაპარაკი აკრძალული აქვთ. ამ საქმის გამო გუშინ-წინ, 24 ოქტომბერს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი ნამესტნიკთან იყო და სკოლიდან ჯარის გაყვანა სთხოვა, მაგრამ თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქმნა.

◆ ტფილისის მაზრის, სოფელ სართიჭალის საბოქაულოში **ბოლო ხანს ძალიან გავრცელდა თავდასხმა**, ქურდობა და ძალმომრეობა. ამის გამო თავი მოიყარეს სოფლის საზოგადოებებმა და დაადგინეს, ყარაულები იყოლიონ. საზოგადოებათა გადაწყვეტილების თანახმად, აგებულ იქმნება ხუთი შენობა ყარაულებისათვის. საყარაულოებს ააშენებენ შემდეგ სოფლებში: მანავსა, გიორგიწმინდის, საგარეჯოსა, მალხაზოვსა და სართიჭალაში.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო ა. პროტოსევიჩს **ქ. კავკავში გამოსცეს ყოველდღიური გაზეთი რუსულს ენაზე.** გაზეთს სახელად „Весь Кавказъ" ერქმევა.

◆ კავკასიის ნამესტნიკის წინაშე **წარსდგა სომეხ არქიმანდრიტთა დეპუტაცია,** რომელმაც თავისი გულითადი სიხარული გადასცა 17 ოქტომ. მანიფესტის ბოძებისათვის და სთხოვა მიღებულ იქმნას ზომები მშვიდობიან ცხოვრების დასამყარებლად. თავის მხრივ დეპუტაციამ აღუთქვა, სომეხ ხალხს დავაწყნარებთო.

◆ ლეიპციგში უნივერსიტეტში კურს დამთავრებულმა **ვლადიმერ ახმეტელაშვილმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე** ყოველდღიურ გაზეთის გამოცემის შესახებ. გაზეთს სახელად „სხივი" ერქმევა.

◆ ამბობენ, საარტისტო საზოგადოების თეატრი კაზარმად უნდა გადააკეთონო.

◆ ბევრს გოლოვინის პროსპექტიდან თავიანთი მაღაზიები სხვა ადგილებში გადააქვთ. ბევრი მაღაზიები და დუქნები გოლოვინის პროსპექტზე დამტვრეული და გაძარცულია. დაზარალებულთაგან ბევრმა ტფილისის გენერალ-გუბერნატორს ქაღალდით მიმართა, რომ ეს საქმე გამოიკვლიოს. მაღაზიები სისხლის ღვრის დროს გაუტეხნიათ.

◆ როგორც ამბობენ, კავკასიის **სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა** აცნობა კავკასიის ნამესტნიკს, რომ მთელ ოლქში, არც საშუალო და არც დაბალ სასწავლებლებში სწავლის დაწყება არ შეიძლება, სანამ ქალაქიდან ჯარი და სოფლებიდან კაზაკები არ იქმნებიან გაყვანილნი.

◆ როგორც გავიგეთ, ბაქოში ჯარსა და ხალხს შორის შეტაკება მომხდარა. ხალხიდან მომკვდარა ოთხი კაცი, დაჭრილია ათამდე. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მიგვიღია.

◆ როგორც გავიგეთ, ბათუმსა და **ქუთაისს** შუა გზა გაფუჭებულია. რამდენსამე ადგილას ხიდები სულ ჩანგრეულია. ამბობენ, რიონსა და ქუთაისს შუა რკინის გზის ლიანდაგი სულ აყრილიაო.

საც კნეინას ხელზე აკოცა და ფეხების ბარტყუნით კნიაჟნას ნაზად ხელი ჩამოართვა—წარმოიდგინეთ, თქვენი ფულიც კი არა აქვთ ჯერ შეკრებილი! მე ვეჩიჩინები თქვენთვის უფრო ცუდია,—დღეში ჩვენს შესანახავად იხდით 70 მანათს, რამდენსაც მეტს ხანს დავრჩებით, მეტს ფულს გადიხდით, მაგრამ ვერა შევასმინე-რა!

— აბა, აი, თქვენ რომ მელაპარაკებოდით!—ნიშნის მოგებით მიუგო კნეინამ—თქვენ რომ ვერაფერს აწყობთ, ჩვენ რაღას გავაწყობთ!

— ჰმ... თქვენ კიდევ არ იცით, კნეინა, ეკზეკუცია რა არის! მე ჯერ კიდევ ვიცოდებ სოფელს,—წარმოიდგინეთ, კნიაჟნა—მიუბრუნდა ის ნატაშას—პირველად რომ შევესიეთ სოფელს, ერთი ქოხიდან ჩემს კაზაკებს გამოეტანათ ტომრით პურის ფქვილი. შევხედე, იქიდანვე გამოვარდა ერთი დედაკაცი, რომელიც პატარა ბავშვს მიწაზე მოახოხიალებდა, მოვარდა ჩემთან, ბავშვი ჩემ ცხენს ფეხებში მიუგდო და გამწარებულმა რაღაცა მითხრა, ვერ გავიგე, ალბად იმას მეუბნებოდა, ამ ბავშვს რაღა ვუყოვო!

— ახლა, განა?!—წამოიძახა გაანჩხლებით კნეინამ,—აქამდისინ რომ გვეუბნებოდნენ, თქვენა ხართ ჩვენი სისხლის მსმელებიო! აქამდისინ ჩვენ ვიყავით მშიერები, ახლა თქვენ იყავითო! მობრძანდით—გამოიცვალა უცბად კილო—გშიებათ, ვიცი, დილიზე ყავის მეტი არაფერი დაგილევიათ. აბა გაუკეთეთ „პადრუჩკი" კნიაჟნას და სასადილო მაგიდისკენ წავიდეთ.

ხალიჩებით მორთულ ოთახში გრძელი განიერი მაგიდა და, ზედ დალაგებული სუფთა ძვირფასი ჭურჭელი, მრავალ-ფერად ბრჭყვინავდა. საუზმის პატარ-პატარა საინები და ხხვადასხვა სასმელებით სავსე ბოთლები სუფრას ამშვენებდა და მშიერ ადამიანს მადას უღვიძებდა.

— აი, აქ დაბრძანდით, ეს კნიაჟნას ადგილია, ლევან, შენ კი აქ დაჯექი—ეპატიჟებოდა ყველას კნეინა—აბა მიირთვით, ნუ მოგვერიდებით.

— მაინც, როგორ ჰფიქრობთ, დიდხანს დარჩებით აქა?—ჭამის დროს ემუსაიფებოდა სტუმარს კნეინა—მე ძალიან მეწყინება თქვენი მალე წასვლა. მე და კნიაჟნა ეს ერთი თვეა გამომწყვდეულები ვართ და თქვენისთანა განათლებულ, ჰკვიან კაცთან ერთი ორი დღით დროის გატარება, ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა. კნიაჟნა დილით ადრიან ადგა და სულ იმას გაიძახის: სად არის აქამდისინ პიოტრ ივანიჩიო,—იცრუა კნეინამ.

თითქოს კნეინას უკანასკნელი სიტყვები ვერ გაიგონაო, აფიცერმა სიტყვა ჩამოართვა:

— მე მგონი აქ დარჩენა დიდხანს მოგვიხდება, ჯერ თქვენ მიერ ნაჩივლი ტყის ზარალიც არ გადაუხდიათ, ახლა ღალები, ახლა ნადელის ფული, ახლა საზოგადო და სახელმწიფო სხვადასხვა გადასახადები და, მე მგონია, ამოდენა ფულს ერთ თვეზედაც ვერ შეაგროვებენ.

— მერე? მანამდინ სოფელმა დღეში 7 თუმანი უნდა იხადოს?—იკითხა გაკვირვებულმა ნატაშამ.

— რას იზამთ, მე მხოლოდ ბრძანებას ვასრულებ!—მხრებ-აწევით გაუღიმა სტუმარმა.

— აი, კნიაზი ამბობს, თავდები მომცეს სოფელმა და ორ კვირას დავაცლიო, თუ ეს ასე იქნება, შეიძლება ჩვენ აქედან მალე წავიდეთ.

კნეინამ შვილისკენ უცბად მიიხედა და განრისხებით სახეში ჩააცქერდა.

— ცოდონი არიან, დედა!—ყრუდ წარმოსთქვა შვილმა და თავი დახარა.

— თქვენ ამას ყურს ნუ უგდებთ,—გაწითლებულის ღიმილით მიუბრუნდა კნეინა სტუმარს,—ბავშვია ჯერ რა იცის! თქვენ რომ აქედან წახვიდეთ, ფული კი არა, შეიძლება კიდეც გადაგწვან, ახლა არიან მოკატუნებულნი, თორემ აქამდისინ სალამსაც აღარ გვაძლევდნენ. გლეხკაცს ხომ ვეღარ დაველაპარაკებოდით, ისე თავხედად, ისე...

კნეინას რაც აქამდისინ შიშით ვერავისთან წარმოეთქვა და რამდენიმე თვის განმავლობაში გულში იგუბებდა, დღეს გამოჰხეთქა და აღელვებულის სახით და ხმა-წასული კილოთი სტუმარს მრავალი საბუთი მოუყვანა, რომ არც პატიება და არც დაცდა, არაფრის გზით არ შეიძლება.

— ეს რამდენიმე თვეა სიმშილით ვიხოცებით, აი, რაც აქა ეხედავთ, სულ ნავალები ფულით მაქვს ნაყიდი, ერთი კაპეიკი შემოსავალი აღარა გვქონდა, ენგრე შიმშილით დაიხოცეთო! რამდენი შიში და დამცირება გამოვიარეთ, ის სხვა არის. დაგავიწყდა ყმაწვილო,—მიუბრუნდა ზიზღით შვილს,—თედოს ბიჭმა სადგურზე რომ გაგლანძღა? აღარ გახსოვს?

— არა კნეინა,—ბოლოს დაამშვიდა აფიცერმა—თქვენი ნებაა, აპატიებთ თუ დააცდით, მე მტკიცედ შევასრულებ ბრძანებას,

— გთხოვთ, გთხოვთ!—კეკლუცად უთხრა კნეინამ და დაუმატა,—დავანებოთ მაგებზე ლაპარაკს თავი და ღვინო დავლიოთ. აიღე ღვინო მაინც დაალევინე,—მიუბრუნდა შვილს გულმოსული და ორივეს ჭიქები გაუმსო.

ლევანი აქამდე რაღაცას იბუსხებოდა და თითქოს სიცოცხლე ეზარებაო, ყველაფერს გულგრილად შესცქეროდა და ისმენდა. ის, როგორც დრაგუნი, მაღლიდან დასცქეროდა კაზაკ-აფიცერს და დედისა და დის მხრივ ისეთი პატივისცემა და ალერსი მის გულს ცოტა არ იყოს არ ასიამოვნებდა, ის თითქმის არაფერს ლაპარაკობდა, დინჯად იქცეოდა და ამით დედის გადაჭარბებულ პატივისცემას თითქოს აქარწყლებდა.

ახლა კი შვილმა იგრძნო, რომ დედა რაღაცაზე მისი კმაყოფილი არ იყო და გარდასწყვიტა, გამხიარულებულიყო და სტუმარი დაეთრო. ის შეინძრა ერთ ალაგას, თავი აიქნია, თითქოს დარდები გადიყარაო და მაღალი ხმით დაიძახა:

— აბა, პიოტრ ივანიჩ, დავლიოთ ერთი ზორბად!—ამ სიტყვებით ჭიქა მოიყუდა და უცბად დალია.

გაიმართა სადღეგრძელოების სმა. პატარა ხანს უკან უხერხულობა გაჰქრა, სტუმარს ღვინო მოეკიდა, სახე შეუწითლდა და გამბედაობა მიეცა, ლაპარაკს უმატა.

აფიცერი ლაპარაკობდა თავის ხელქვეითების სიყოჩაღეზე.—იცით, რა ვაჟკაცები არიან?—ამბობდა ის და ენას უკიდებდა,—ცოტაოდენი რამ რომ დაუშავოს სოფელმა, მთლად აიკლებენ! და ერთი თუ გამხეცდნენ და ალვირი წაიყარეს, მე რომ მაგათი უფროსი ვარ, მეც კი ვეღარაფერს გავაწყობ. ყოჩაღები არიან, ყოჩაღები!

კნეინამ და კნიაჟნამ მოლაპარაკეს შიშით შეჰხედეს. დრაგუნს თავმოყვარეობამ უჩხვლიტა, ერთ ხანს დააპირა, თავისი დრაგუნები კაზაკებისთვის შეედარებინა, მაგრამ გადიფიქრა და ხმა მაღლა დაიყვირა.

— აბა, დავლიოთ, აიღეთ ჭიქა!

— მე აღარ შემიძლიან,—გაიქნია თავი სტუმარმა,—დავითრობი!

— კნიაჟნას სადღეგრძელოა!

— ააა, კნიაჟნასი? ღმერთმა გაცოცხლოთ კნიაჟნა!—მიუბრუნდა ის ნატაშას და ჭიქა უცბად დალია.

მაღალ ტანის მოსამსახურეს, რომელიც ტყის მცველიც იყო და ლაქიაც, საჭმელები უხერხულად შემოჰქონდ-გაჰქონდა. ბოთლები იცლებოდა და მათ მაგივრად სავსეები შემოდიოდა.

სტუმარს ღვინო მოეკიდა, თავი აღარ ემორჩილებოდა და, მაგიდაზე იდაყვ-დაყრდნობილი, მიბნედილის თვალებით ნატაშას შესცქეროდა.

მასპინძელი ყოჩაღად იყო და ამით თავი მოჰქონდა. წამდაუწუმ სტუმარს დასცინოდა.

— კარგია, ნუღარ დაალევინებ!—ქართულად უთხრა კნეინამ შვილს და სტუმარს უცბად მიუბრუნდა,—პიოტრ ივანიჩ, თქვენ ერთი ეს მითხარით... თქვენ... რაც ნაბრძანები გაქვთ, ის უნდა შეასრულოთ, თუ... თქვენც შეგიძლიანთ რამე მოიქმედოთ?

აფიცერმა იწყინა.

— მე, კნეინა, ნება მაქვს... ნება მაქვს... ერთ დღეს ეს სოფელი... შემიძლიან... ეს სოფელი მოვსპო!—თან ხელით მეორე ხელის გული დაასრისა.—იცით რა არის ეკზეკუცია?! იცით? არ იცით!—აუმაღლა ხმა და ენა სულ დაება—მერე ასეთ დროს! მე... შემიძლიან... შემიძლიან...—აქ უნდოდა ისეთი რამ ეთქვა, რომ კნეინა და კნიაჟნას შიშისაგან პირები დაეღოთ, მაგრამ სიტყვები ვეღარ იპოვნა და ხელი ჩაიქნია.

— არა, იცით, რისთვის გკითხეთ?—ბოდიშის ხდით დაიწყო კნეინამ—აქ ერთი სოფელია, რამდენიმე კვამლი სცხოვრობს, ამ სოფლის გლეხებმა, წარმოიდგინეთ, ხუთი დღის სათივე გადაგვიძოვეს. ტყის ზარალის „პროტოკოლი" რომ შევაყენეთ, მაშინ იმ სათივეზე არაფერი გაგვიცხადებია, ახლა იმიტომ გკითხეთ, მინდოდა გამეგო, შეგიძლიანთ...

— რამდენია? მითხარით რამდენია?—შესწორდა სკამზე აფიცერი და თავი მაღლა აიღო.

— ხუთის დღისაა!

— არა, ზარალი, ზარალს გეკითხებით!

— ზარალი? რას გვაძლევდნენ, ლევან, იმ სათივეში? ჰო, ოცდაათ თუმანს—მოუბრუნდა აფიცერს და სახეში ჩააცქერდა.

— გინდათ, გადაახდევინოთ?

— რა ვიცი, თქვენზეა დამოკიდებული!—მორცხვად დახარა თავი კნეინამ.

— აი, კნიაჟნამ მიბრძანოს და... იმათ ამ წუთში აი, აქ მოვრეკავ!—უცბად განაცხადა აფიცერმა და კნიაჟნას მიუბრუნდა—გინდათ, კნიაჟნა?

ნატაშა გაწითლდა და ხმა არ გასცა.

— გინდათ? არა, მითხარით, გინდათ?—ჩასციებოდა აფიცერი.

— კარგი იქმნება, ღმერთმანი—ნატაშას მაგივრად დედამ მისცა პასუხი—აქ მორეკვა რად უნდა, ერთი კაზაკიც რომ დაინახონ მისული, მეტი არ უნდათ...

— აი, თუ კნიაჟნა მიბრძანებს!—ჯიუტობდა აფიცერი და მოურიდებლად დასცქეროდა ნატაშას კისერს.

— სთქვი, შვილო, გთხოვთ-თქო—ქართულად უთხრა შვილს კნეინამ.

— სთქვით, გინდათ?

— თქვენი ნებაა!—ოცნავ წამოილუღლუღა ნატაშამ.

— არა, სთქვით, გიბრძანებ-თქო!

— გთხოვთ!

— არა, გიბრძანებ თქო!

— სთქვი, შვილო, გიბრძანებ-თქო?

— გი... ბრძანებთ!—ძლივს სთქვა ნატაშამ და დარცხვენილი სკამიდან წამოვარდა.

— კარგი, მაშ!...—სთქვა სტუმარმა და ზეზე წამოიწია:

— პიოტრ ივანიჩ, ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს—გააჩერა კნეინამ—ჩვენ აუარებელი საქონელი და წვრილფეხი გვყავდა, სოფელმა ,,ბოიკოტი'' რომ გამოგვიცხადა, ეს ამოდენა ოჯახი მოუვლელად დარჩა და საქონელიცა და წვრილ ფეხიც ერთიანად გაგვეწყდა, არ ვიცი, შეიძლება თუ არა...

— ეგ მერე მერე, კნეინა—გააწყვეტინა სიტყვა სტუმარმა—ჯერ ეს საქმე გავათავოთ!

სტუმარი წამოდგა, წატორტმანდა, მაგრამ თავი შეიკავა და ბარბაცით საჩქაროდ აივანზე გავარდა.

— კარამარენკო!!—დაიყვირა სიერცეში.

ძირის სართულიდან დაფეთებული გამოვარდა ერთი კაზაკი, აივანთან მოიჭრა და ერთ ალაგას გაქვავდა...

II

მზემ გადიხარა და მთის მწვერვალს ეფარებოდა. მინდორს მკრთალი, საამური ფერი დაედო და ალაგ-ალაგას ხეებისა და ბუჩქების ჩრდილნი გრძლად წამოიხარნენ. მტკვარს ლურჯი ფერი მიეღო. ზუილით მიმდინარე წყლის ზვირთები, ხეობიდან მომბერავი გრილი სიო და მზის ცერად წამოსული სხივები ერთმანეთში იხლართებოდნენ, ერთმანეთის ალერსში იყვნენ. დიადი, მძლავრი ბუნება ამაყად შესცქეროდა თავის რთულს საქმეს და სოფელს, მის დალხენასა და გაჭირვებას გულგრილად დასცქეროდა, თითქოს ეუბნებოდა: ჩემი სიცოცხლე, ჩემი ნამუშევარი, ჩემი ძალები მიჩუქებია, როგორც გსურთ, ისე მოიხმარეთ, ხოლო თუ იხჩუბებთ, ერთმანეთს დასჭამთ, ჩემი საქმე არ არის, თავს სრულიადაც არ ავიტკივებ. ასე იქცევა მდიდარიც: ნასუფრალს მესამე

◆ როგორც გაიგეთ, ტფილისის გენერალ-გუბერნატორი ქილიაი სამსახურს თავს ანებებს.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა დ. ა. ცისმა სამსახურს თავი დაანება. მის ადგილს ახალციხის მაზრის უფროსი კაპიტანი პოდგურსკი ინიშნება.

◆ ტფილისის იურიდიულმა საზოგადოებამ მინისტრს ვიტტეს გაუგზავნა დეპეშა, სადაც დაწვრილებით აცნობებს უკანასკნელ დღეებში ტფილისში მომხდარ ამბებს.

◆ 22 ოქტომბერს, ავლაბარში, ბეგლაროვის ქუჩაზე, გარდიშოვის სახლში საზარელი ამბავი მოხდა. ამ სახლში დგას გორის მაზრის, სოფ. სბას მცხოვრები გრიგოლ აბაშვილი, რომელსაც მეხუთე საპოლიციო უბანში, შადინოვის ქარვასლაში მანუფაქტურის მაღაზია აქვს. მას სახლში ჰყოლია ცოლი მარიამი, შვილები: ირაკლი—3 წლისა, ვახტანგი—4 წლისა და სონა—11 წლისა, პირველ გიმნაზიის მოსწავლე, და ძმისწულები: ალექსანდრე—სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლე და იოსები—34 წლისა. აბაშვილის სიტყვით, საქმე ასე იყო: ოჯახობით ის იდგა ბალკონზე და იყურებოდა ქუჩაში, სადაც საპოლიციო უბნის ზედამხედველი და დრაგუნთა პოლკისა და ტფილისის პოლკის ორი აფიცერი იდგნენ. უცებ რევოლვერი გავარდა. რადგან ეჭვი მიიტანეს, რომ სროლა აბაშვილის სადგომიდან იყო, სასწრაფოდ დაუწყეს სახლს სროლა. შეშინებული ოჯახობა გავარდა მეზობლის—დროებით დათხოვნილ სალდათის ბინაზე, ამავე შენობაში, მაგრამ სროლა იქაც გაგრძელდა. მარიამმა შვილები გარს შემოირტყა და სტიროდა, რომ ამ დროს ტყვია მოხვდა და სული განუტევა. სალდათები შემდეგ სახლში შევიდნენ და დასჭრეს ტყვიებითა და იარაღით: იოსები (მძიმედ), გრიგოლ საბაშვილი, ალექსანდრე და სონა. გრიგოლ საბაშვილი, ალექსანდრე და იოსები ამჟამად მიხეილის საავადმყოფოში წვანან. პატარა ბავშვები ნათესავებთან არიან შეფარებულნი.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა სტაროსელსკიმ, სამსახურს თავი გაანება. მის ადგილს გენერალი ალიხანოვ-ავარსკი დაინიშნა.

◆ გუშინ, 25 ოქტომბერს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა გენერალ-ლეიტენანტი თ-დი ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე.

◆ გუშინ, 25 ოქტომბერს, მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს სასიკვდილოდ დაჭრილი კაცი, რომლის პიროვნებაც ვერ გამოირკვა, იგი დაუჭრია გვარდიის ერთ-ერთ აფიცერს.

◆ „კავკაზს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ დეკანოზი კონჩუევი ალავერდის ეპისკოპოზად დაუნიშნავთ.

◆ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ შავი ქვის წარმოებელთა საბჭოს კრების თავმჯდომარედ აურჩევიათ ზდანოვიჩი. საბჭოს წევრებად—აბაშიძე, ნიჟარაძე, გამრეკელოვი და ვაგალოპულო. 17 ოქტომბერს, დილის ოთხ საათზე რამდენიმე შეიარაღებული კაცი დასცემია ოლქის სასამართლოს. არავინ დაშავებულა. მეცადინეობა შეუჩერებიათ.

◆ ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოში 623 ახალგაზრდა ყმაწვილიდან მიღებულ იქმნა ჯერ-ჯერობით მხოლოდ 100 კაცი, რადგანაც უმრავლესობა არ გამოცხადდა. მიღებულებს დაათვალიერებენ ნოემბრის პირველს, ჯარში კი 6 დეკემბერს წაიყვანენ.

◆ 15 ოქტომბერს ვოკზალისა და ანდრეევის ქუჩის კუთხეში რევოლვერით მოჰკლეს საპოლიციო უბნის ზედამხედველი ზბოროვსკი. მკვლელმა რევოლვერი დააგდო და გაიქცა, მაგრამ გზაზე პოლიციელმა უსატმა შეიპყრო. დაჭერის დროს პოლიციელმა ხმლით ყური მოაჭრა შეპყრობილს. როცა ვინაობა ჰკითხეს, განაცხადა, გორის მაზრის ს. აწყურის მცხოვრები მირიან ჭანტურაშვილი ვარო. ზბოროვსკის მოკვლის შემდეგ რევოლვერის ხმა კიდევ გაისმა. რადგან ეჭვი სასტუმრო „სვეტ"-ზე მიიტანეს, სასტუმროს სალდათებმა სროლა დაუწყეს. სასტუმროში მოკვდა ფოდრაიჩიკი ივანე თოდრია.

◆ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ტფილისის ქალაქის საბჭოს ყოფილმა ხმოსნებმა თავი მოიყარეს და გადასწყვიტეს, ხმოსნობა ხელ-ახლა იკისრონ, მხოლოდ იმ პირობით, რომ პირველსავე კრებაზე ნება მიეცეთ თავისუფალი მსჯავრი დასდონ 29 აგვისტოს ინციდენტს და მით შემდება მიეცეთ გაჰფანტონ ის ბრალდებანი, რომელთაც მათ თავზე ახვევენ, 2) ნება მიეცეთ რომ დიდი ფული გადასდონ 29 აგვისტოს დახოცილთა ოჯახების დასახმარებლად და 3) პატივი სცენ დახოცილთა ხსოვნას ფეხზე ადგომითა და გალობით და არა პანაშვიდით. საბჭოს ხმოსანთა პირველი კრება ჩქარა დაინიშნება. სხვათა შორის, განხილულ იქმნება: ბ-ნ არღუთინსკის წინადადება ტფილისის მცხოვრებთა აღწერის შესახებ, განცხადება ბ-ნ ბაბოვისა—ტფილისში თავისუფალ სახალხო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკურ მუზეუმის დაარსების შესახებ და ბ-ნ ხატისოვის წინადადება—ტფილისში ლექციების მოწყობის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს ძირითად საფუძვლის განსამარტებად.

◆ ორშაბათს, 24 ოქტომბერს მეორე—საპოლიციო უბანში მეჯვრის ქუჩაზე, საღამოს 8½ საათზე, სასიკვდილოდ დასჭრეს პოლიციელი ხაზოევი.

◆ ორშაბათს, 24 ოქტომბერს, მერვე საპოლიციო უბანში, პანასევიჩის ქუჩაზე, ვიღაც უცნობმა გაისროლა თოფი და დაიჭრა 12 წლის ყმაწვილი პანასიანცი, როგორც ეტყობა სხვის მოკვლა სდომებია.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

24 ოქტომბერი.

ლონდონი, 23 ოქტომბერი. დღეს დიდი ტრაფალგარ-სკვერში სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა დემონსტრაცია მოახდინა იმ მიზნით, რომ რუსის მუშებს თავისი თანაგრძნობა გამოუცხადოს. დაესწრო რამდენიმე ასი მუშა.

ნოვგოროდი, 23 ოქტომბერი. მიტინგების გამმართველნი ამ ბოლოს დროს ქალაქიდან გაიდევნენ და მიიმალნენ. ქუჩის დემონსტრანტები ხელმწიფის სურათით, შევიდნენ საბჭოს დარბაზში, წარმოთქმულ იქმნა სიტყვები შერიგებისა, ნოვგოროდის სახელით ხელმწიფეს იმპერატორს დეპეშა გაუგზავნეს, ქალების გიმნაზია მეორედ გაანადგურეს.

ყაზანი, 23 ოქტომბერი. გუშინ გაანადგურეს ებრაელების თორა. მაჰმადიანები თორის განადგურებით აღშფოთებულნი არიან.

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. საინჟინერო სასწავლებელს, სადაც საღამოს რკინის გზების მოსამსახურეთ კრება ჰქონდათ, ბრბო გარს შემოერტყა გაჩნდა სროლა, ბევრია დაჭრილი.

ჰელსინგფორსი, 23 ოქტომბერი გაფიცვას განაგრძობენ. გუშინ მოედანზე ხალხს ყრილობა ჰქონდა და აირჩია კანდიდატები დროებითი მთავრობისა. ჯარებს ხელი არ შეუშლიათ.

პლოცკი, 23 ოქტომბერი. დღით ხალხმა თავი მოიყარა და აღმართა წითელი დროშა, რომელზედაც გამოსახული იყო ერთ-თავიანი თეთრი არწივი. მოვიდნენ დრაგუნები და ხალხი გაჰფანტეს.

რიაზანი, 23 ოქტ. კლუბის საზაფხულო სადგომში პოლიტიკურ საკითხთა შესახებ გამართულ მიტინგზე უწესოება მოხდა, რამაც ყველას შიშის ზარი დასცა. საზოგადოება უგზო-უკვლოდ გარბოდა. რამდენიმე ორატორმა და ხალხის ერთმა, ნაწილმა კლუბში კარები ჩაიკეტა. ხულიგანთა ბრბომ მოითხოვა მათი კლუბიდან გამოსვლა და თვითონ კლუბს ცეცხლი წაუკიდა. ამ დროს მოვიდა ადმინისტრაცია, განათავისუფლა კლუბში ჩაკეტილები და დიდძალ ყარაულების თანხლებით ყაზარმაში წაიყვანა. ამის შემდეგ ქალაქში ხულიგნებმა პატრიოტული მანიფესტაცია გამართეს და ებრაელთა მაღაზიები თითქმის მთლად დაარბიეს. სცადეს აგრეთვე ცეცხლის წაკიდებაც. გამოიწვიეს ჯარი. ცეცხლი გაჩენისთანავე ჩააქრეს.

დიდი-უსტიუგი, 24 ოქტომბ. მთელს საღამოს ხულიგნები, რიცხვით 300-მდე კაცი, არბევდნენ და იკლებდნენ იმ ორატორთა სადგომებს, რომელნიც მიტინგებზე პოლიტიკურ სიტყვებს ამბობდნენ.

ოდესა, 23 ოქტომბერს. ზოგს ქუჩაზე დაარბიეს ებრაელთა მაღაზიები, სადგომები და სამრეწველო დაწესებულებანი. მცხოვრებლებმა ოქმი შეადგინეს პატრულთა უკადრ უმსგავსო საქციელის გამო. ქალაქის უფროსმა წინადადება მისცა გაზეთების რედაქტორებს, იდუმალ რამე და ხალხი დაამშვიდეთო.

მარიუპოლი, 23 ოქტ. ებრაელთა ქონებისა და სადგომების რბევა-კლებას დღეს დილამდე განაგრძობდნენ. გაძარცვეს ებრაელთა მაღაზიების მომეტებული ნაწილი და მრავალი სახლი. მთავრობის მოხელეებმა ვითომდა მიიღეს საჭირო ღონისძიებანი, მაგრამ მხოლოდ ხალხის დასანახავად, თორემ ნამდვილად სრულიად არაფერი არ იზრუნეს. დღეს რბევა [illegible] აღარ განახლებულა.

უმანი, 23 ოქტ. გლეხები ათასობით გარბიან ქალაქში, მაგრამ ჯარები არ უშვებენ. გუშინ ჯარმა სამჯერ ესროლა თოფები.

ელისავეტგრადი, 23 ოქტ. საბჭოს ხმოსნებს თათბირი ჰქონდათ მოქალაქეთა თანადასწრებით და დაადგინეს, გადასდონ 1,000 მანეთი დარბეულ და დაწიოკებულ ებრაელთა სასარგებლოდ. ქალაქის საბჭომ ახლო მომავალში უნდა განიხილოს საქმე საქალაქო მილიციის დაარსების შესახებ. ხმოსანთაგან შემდგარმა კომიტეტმა ქალაქი უბნებად დაჰყო და შეუდგა დაზარალებულთა რაოდენობის გამოძიებას, რათა სასწრაფოდ აღმოუჩინოს შემწეობა.

ვარშავა, 23 ოქტ პოლონელთა სახალხო პროცესიას ცოტა ხნის შემდეგ იმდენი ხალხი შეუერთდა, რომ 250,000-მდე ავიდა. პროცესია დაბრუნდა მარშალკოვის ქუჩით კათოლიკეთა ჯვრის ეკლესიასთან, სადაცაც წესიერად და მშვიდობიანად დაიშალა. პროცესიის მსვლელობის დროს გზადაგზა აივნები ხალიჩებითა და დროშებით იყო მორთული. ზოგ ადგილას სიტყვები წარმოსთქვეს და საზოგადო მოღვაწეებს მიესალმნენ. ქუჩაზე უფრო აღტაცებული ოვაცია გაუმართეს ჰენრიკ სენკევიჩს, რომელმაც აივნიდან სიტყვა წარმოსთქვა, და შვეიცარიის საკონსულოს. საღამოს ქალაქი გაჩირაღდნეს. წესრიგი მეტად სანუგეშო იყო.

ჩერნიგოვი, 24 ოქტ. ებრაელთა დარბევა დაიწყეს, მაგრამ შესწყვეტინეს ისე, რომ იარაღი არ უხმარიათ. ყველაზე უფრო ძნელი შეიქმნა ებრაელთა დარბევა-კლების მოსპობა ნეჟინში.

მინსკი, 24 ოქტ საბჭომ დაადგინა: დაარსდეს ღამის მოდარაჯეთა რაზმი, მიჰმართოს მცხოვრებთ მოწოდებით, აუხსნას და განუმარტოს ხელმწიფის მანიფესტი და ძეგლი აუგოს დახოცილთ.

ზლატოუსტი, 24 ოქტ რკინის გზის მუშათა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს. სადგურს გამოცოცხლება დაეტყო.

რიაზანი, 23 ოქტ. კონსერვატიულ და რევოლუციონურ პარტიათა შეტაკების დროს ეგორიევში კონსერვატიულმა პარტიამ გაიმარჯვა და მოჰკლა რევოლუციონერ პარტიის ორი წევრი. შემდეგ ხულიგან-კონსერვატორებმა ხელი მიჰყვეს ებრაელთა სახლებისა და მაღაზიების აკლებას. გამოიწვიეს ჯარი.

ბერლინი, 23 ოქტ. გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ ვიტტე მოახერხებს და დასძლევს რევოლუციონურ ბრბოს კონტრ-რევოლუციას და სისხლის დაუღვრელად აღადგენსო წეს რიგს. მინისტრმა საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. კერძოდ აქაიქ იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ სრულის ნდობის მოსაპოვებლად მთავრობისათვის სრულის ამნისტიის გამოცხადებაა საჭირო.

კოპენჰაგენი, 24 ოქტ. მთავრობის ორგანო „დანნებროგი" იმ აზრისაა, რომ რუსეთის მძიმე და აუტანელ უღლიდან განთავისუფლებული ფინლიანდია გადაიქცევა კულტურულ ქვეყნად და რუსეთის სხვადასხვა ერებს გზის მაჩვენებლად გახდება, რომ ამ ერებმაც გაითავისუფლონ თავი რუსეთის შემხუთავ ბორკილებიდან.

ირკუტსკი, 24 ოქტომბერი. თუმცა ციმბირ-ბაიკალის გზა მუშაობს, მაგრამ აქაური სადგური რუსეთში მატარებლებს არა ჰგზავნის. აქამდე თუ აქა-იქ რამე მოძრაობა იყო რკინის გზაზე, მხოლოდ რკინის გზის ბატალიონის შემოხვებით, მაგრამ ახლა ეს ბატალიონი სადგურ ზიმას გაჰგზავნეს, სადაც სრულებით არავითარი მოძრაობა არ არსებობს. სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა ზეგ დაიწყება. ქალაქში სიწყნარეა. დღეს მაღაზიები გააღეს.

ნარვა, 24 ოქტ. ბალტიის რკინის გზის მოძრაობა განახლდა. ქალაქსა და ახლო-მახლო მიდამოებში არავითარი უწესოება არა ყოფილა, გარდა რკინის გზისა და სხვა ეკონომიურ გაფიცვისა. მცხოვრებნი სრულის სიმშვიდით შეჰყურებდნენ ყველა იმას, რაც ამჟამად რუსეთში ხდება.

ვასილკოვი, 24 ოქტ. გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. საპყრობილესა და ხაზინას პატრულები იცავენ. ობუხოვში ებრაელთა დარბევას თვითონ გლეხთა საზოგადოებამ მოუღო ბოლო.

პეტერბურგი. 18 ოქტომბერს ჯარების მიერ დახოცილთა დასასაფლავებლად განზრახული დემონსტრაცია მუშების კომიტეტის განკარგულებით არ შესდგა, დასაფლავებამ მშვიდობიანად ჩაიარა. ნევის პროსპექტზე მაინც აუარებელი ხალხი იყო. თვით მუშები სთხოვდნენ ხალხს დაშლილიყვნენ.

ელიზავეტგრადი, 23 ოქტ. განადგურებისაგან დაზარალებულ ებრაელთა მდგომარეობა მეტად სამწუხაროა. ასობით ოჯახები უსახლ-კაროდ და უღუკმო-პუროდ დარჩა, შესდგა დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი.

მოგილევი, 23 ოქტ. გუშინ დიდმა ბრბომ ხელმწიფის სურათით სობორნი მოედანზე გაიარა. გზაზე ებრაელების სახლების ფანჯრები ჩალეწა და მაღაზიები გაძარცვა.

ოდესა, 23 ოქტ. უწესოება ისპობა. ღამე დაარბიეს მდიდარი საგარაკო სახლები მალი-ფონტანში დაარბიეს აგრეთვე რომანოვკა, გაძარცვეს ავეჯეულობა ფურგონებით მიჰქონდათ. ისეთ უბედურებანი რაც ამჟამად ქალაქში მოხდა, ოდესა ჯერ არ მოსწრებია. ქუჩებში გაკრულია გუბერნატორის განკარგულება, რომ ვინც სახლებს, მაღაზიებს და სადგომებს დაეცემა, ჯარმა და პოლიციამ თოფები დაუშინონ. პერესიპს დაიწყეს ებრაელთა ხოცვა-ჟლეტა. მძარცველთა შორის ბევრი გადაცმული პოლიციელია.

პეტერბურგი, 24 ოქტ. ოფიციალურად. იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში არეულობის გამო აუარებელი, ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო, განცხადებანი და შუამდგომლობანი მოგვდის ერთნი ჩივიან, რომ მშვიდობიანობის აღსადგენად ჯარი გადამეტებულ სისასტიკით იქცევაო, მეორენი კი ჯარის უმოქმედობაზე. ზოგიერთი ქალაქების მცხოვრებნი თხოულობენ ჯარების გამოგზავნას, ზოგნი ჯარების ქალაქიდან გაყვანას. ხოლო ყველა განცხადებანი თავდება იმით, რომ თხოულობენ ადგილობრივ გამოძიებას. ყოვლად შეუძლებელია ამ არეულობის დროს ადამიანი ერთ გადაწყვეტილ აზრს დაადგეს. მხოლოდ ერთი ცხადი, რომ ყველა ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი არის ის მძღოლარება, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს თავი იჩინა მცხოვრებთა ორ ჯგუფში. ზოგიერთნი არ არიან კმაყოფილნი 17 ოქტომბრის მანიფესტით და თავის უკმაყოფილებას მკვახედ გამოსთქვამენ და მოქმედობენ. ამით ისინი აღშფოთებას იწვევენ იმ პირებში, რომლებმაც დიდი მადლობით მიიღეს უმაღლესი მანიფესტი, და იმათში, ვისაც ჯერ კიდევ კარგად არ შეუგნია ამ რეფორმის მნიშვნელობა და მისი კარგი მხარეები. შეტაკების მოსასპობლად ერთად-ერთი საშუალება ის არის, რომ ყველამ კარგად შეიგნოს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტში გამოთქმული ხელმწიფის ნება შეუდრეკელია და ზოგიერთ პირების ცდა, ხელი შეუშალოს ამ რეფორმებს, მიზანს ვერ მიაღწევს. ამასთან ერთად საჭიროა ამ პირებმა თავის მოქმედებაში ზომიერება იქონიონ, რათა არ გაიბოროტონ ძლიერი და მშვიდობიანი ნაწილი მცხოვრებლებისა, მით უმეტეს რომ ახლო მომავალში ყველა პარტიას ეძლევა საშუალება ლეგალური ბრძოლისა წარმომადგენლობითს დაწესებულებაში. ხოლო იმათ, ვის გულშიაც ღვივის თავის ხელმწიფისადმი ერთგული გრძნობა, თავის მოვალეობად უნდა ჩასთვალონ და მთელი თავისი ძალღონით უნდა ეცადონ დაიცვან წესიერება და ძალმომრეობა არავისზე არ უნდა იხმარონ. მთავრობას სურს მომავალ შრომაში, 17 ოქტომბრის მანიფესტის განსახორციელებლად, დაეყრდნოს რუსის საზოგადოების მშვიდობიანად განწყობილ უმეტესობას, რომლისთვისაც ძვირფასია რუსეთის კეთილდღეობა სამოქალაქო თავისუფლებისა და ტერრიტორიალურ მთლიანობის ნიადაგზე. მთავრობას ამ შემთხვევაში იმედი აქვს განსაკუთრებით რუსეთის პრესისა, რომელიც არ შეიძლება არ გრძნობდეს, რომ დღეს, როდესაც რუსეთის ცხოვრება სხვა პირობებში გადადის, საჭიროა მთელი რუს—ხალხის ერთად შეერთება.

პეტერბურგი, 23 ოქტ. ვიტტემ 21 ოქტომბერს საერობო და საქალაქო მოღვაწეთა პარტიის საორგანიზაციო ბიუროს სამი წევრი მიიღო: გოლოვინი, კოკოშკინი და თავ. ლვოვი. ლაპარაკში ვიტტემ განაცხადა, ყველა საზოგადოებრივ ჯგუფთა და პარტიებიდან მე რწმენითა და მიმართულებით უფრო საერობო პარტიას ვემხრობიო. ბიუროს წევრებმა უპასუხეს, არსებულ სახიფათო მდგომარეობიდან რუსეთს მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით მოწვეული დამფუძნებელი კრება იხსნისო. მანიფესტში გამოცხადებული თავისუფლება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს; საჭიროა საერთო პოლიტიკური ამნისტია, საყოველთაო საარჩევნო უფლება და სხვა რეფორმები. ვიტტემ უპასუხა: ამჟამად მთელ რუსეთში ისეთი არეულობაა, რომ მთავრობა თვითონ ვერ იკისრებს საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას. ეს რეფორმა უნდა იკისროს პარლამენტმა, რომელსაც მეც და ვეხმარები. მე და საერობო პარტიას ერთი მიზანი გვაქვს, ხოლო გზა—სხვადასხვა. ამ დღეებში გამოცხადდება ახალი საარჩევნო კანონი შემცირებულის ცენზითა და მუშათა მხრით ცალკე წარმომადგენლობით. საბოლოო კანონები მოქალაქობრივ თავისუფლებისა შეიძლება გამოიცეს მხოლოდ პარლამენტის დახმარებით, ჯერჯერობით კი დროებით კანონებსაც უნდა დავჯერდეთ. საზოგადოების შეგნებული და გონიერი ნაწილი გაიგებს, რომ მთავრობას არ შეუძლიან უცებ განახორციელოს თავის გულწრფელი სურვილი. მთავრობას მხოლოდ პარლამენტზე შეუძლიან დაამყაროს თავის სურვილის განხორციელება.

ვარშავა, 23. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით შეჩერებულ იქმნენ ყველა გაზეთები იმიტომ, რომ ისინი უცენზუროდ გამოვიდნენ. ამიერიდან გაზეთები ისევ ცენზურას უნდა დაემორჩილონ. რედაქციებმა გადასწყვიტეს გაზეთები არ გამოუშვან და გუბერნატორს პეტერბურგში უჩივლონ.

კალიში, 23. გუშინ, შუადღისას, წმინდა იოსების ეკლესიის კოშკზე ორი კაცი ავიდა და საყვირით რამდენჯერმე დაუკრეს პოლონეთის ეროვნული ჰიმნი „ღმერთო, დაიფარე პოლონეთი". შემდეგ ამ კოშკზე აფრიალეს დროშა, რომელზედაც პოლონეთის სახელმწიფო გერბი იყო გამოხატული. დღეს კოშკიდან მესაყვირეებმა კიდევ გაიმეორეს ჰიმნი. სახალხო მიტინგზე ორატორები პოლონეთის სრულ ავტონომიაზე და ვარშავის სეიმზე ლაპარაკობდნენ.

კრონშტადტი, 23. ხულიგანებმა, სალდათებმა და მატროსებმა რამდენიმე საროსკიპო აიკლეს. ჯარი თოფს ისვრის.

ივანოვო ვოზნესენსკი, 23. ებრაელთა აკლება დაიწყო. მრავალი სახლი და მაღაზია აოხრებული და გაძარცული. მოკლულნი და დაჭრილნიც არიან. ბრბო თეთრი ნიშნებითა და ხელმწიფის სურათით ქუჩებში დადის. პოლიტიკურნი გაანთავისუფლეს.

მოსკოვი, 23. დღეს შედარებით მშვიდობიანობაა. „პატრიოტები" საინჟინერო სასწავლებელს შემოესივნენ და ქვები დაუშინეს. სტუდენტებმა ბერდანის თოფები და რევოლვერები დაუშინეს. მოკლულია 6, დაჭრილი—14. სასწავლებელს გარს შემოერტყა კაზაკთა რაზმი და ქვეითა ჯარი. სტუდენტები მომწყვდეულნი არიან.

რიგა, 23. ებრაელთა უბანში ებრაელებსა და „პატრიოტებს" შეტაკება მოუხდათ. მოკვდა 10, დაიჭრა 25.

ფეოდოსია, 23. სევასტოპოლიდან ჯარი მოვიდა. მკვლელობა არ გათავებულა. „პატრიოტებმა" დასწვეს, აიკლეს, დაანგრიეს და გაძარცვეს ქალაქის საბჭო, თეატრი, რესტორანი, ოთხი სტამბა და მრავალი მაღაზია.

პეტერბურგი, 23. შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე დურნოვო სამინისტროს დროებით გამგედ დაინიშნა.

სართულიდან ძირს ძაღლებს გადმოუყრის და გულ-გრილად დაჰყურებს მათ ღრენასა და ჩხუბს.

საღამოს სიჩუმეში შორს, სადღაც ხმაურობა მოისმა. ხმაურობა თანდათან ახლოვდებოდა, მას ზედ დაემატა უცნაური ტყლაშა-ტყლუში და ფეხების პარტყა-პურტყი. გზის შემოსახვევში გამოჩნდა ნახირი, რომელსაც რამდენიმე ცხენოსანი კაზაკი აქეთ-იქიდან მოსდევდა და, მათრახების ცემითა და ყვირილით, სასწრაფოდ მოერეკებოდა. ხარი, კამეჩი, ძროხა, ღეკეული, ხბო ერთმანეთს აწყდებოდა, ჰქელავდა, ერთი-ერთმანეთზე გადადიოდა.

პატარა ხანს უკან ზუმბათაძის სახლის ეზო ნახირით გაივსო, კაზაკები აქეთ-იქიდან ცხენებით ჩაუდგნენ და საქონელს არსაით არ უშვებდნენ, ერთი მათგანი ცხენიდან ჩამოხტა ტანისამოსი შეისწორა და სახლისკენ გამოსწია.

აფიცერი აივნიდან ძირს ჩამოვიდა, მას მოჰყვნენ უკან კნეინა, ლევანი და ნატაშა. მოსამსახურეებიც გამოცვივნდნენ სახლიდან და შორიახლოს დადგნენ.

ღობეს მოადგა პატარა ჯგუფი გლეხებისა. მოხუცნი, დაგლეჯილის ფარაჯებით და განუყრელ ჯოხებით, შუა ხნისანი უცნაური ქუდებით და ტან-საცმლებით, ქალები ათას ალაგას დაკერებულ კაბებით და უქუდო, ფეხშიშველა, ნახევრად ტიტველა ბავშვები ერთმანეთს ეკვროდნენ და ყველას ეზოსკენ ჰქონდა თვალი მიპყრობილი.

როდესაც ერთი რამე გრძნობა აღელვებს ადამიანს, მის თვალებში გულისთქმას ნათლად ამოიკითხავთ, მაგრამ თუ ადამიანის გულში ერთად აირია შიში, უძლურება, წყენა, ბოროტება და არც ერთი ამ გრძნობათაგანი მეორეს არ აღემატება, სხვებს ვერ დასჩაგრავს და თვით ვერ გაბატონდება, მაშინ ადამიანის თვალები, როგორც სარკე გულისა, გამოხატავს რაღაც გამოურკვეველსა და გაუგებარ სულის-კვეთებას. ასეთი თვალები აქვთ ხოლმე შეშლილებს, ასეთივე თვალები ჰქონდათ ღობეზე მომდგარ სოფლელებს.

ჯგუფი თანდათან იზრდებოდა, მატულობდა და ჩუმად ხმა ამოუღებლივ, თითქოს ეშინოდათ, არავინ შეგვამჩნიოსო, ფეხის წვერებზე იდგნენ, კისრები წინ წაეწიათ და ერთს წერტილს მისჩერებოდნენ.

— კარამარენკო, ხვალისთვის ხორცი გვაქვს?

— არა, თქვენო კეთ—ბაც!

— გამოარჩიეთ ერთი და დაჰკალით, მხოლოდ მსუქანი იყვეს, თქვენ, როგორც გატყობთ, არჩევა არ იცით! მალე!

ორი კაზაკი დაფაცურდა და ნახირში შეერია. რამდენიმე წუთის შემდეგ ნახირიდან გზაზე გამოაგდეს ჩაკურატებული მოკლე, მსხვილი კისრით და პატარა რქებით, ორი წლის წითელი მოზვერი.

— დედე... დააა, ჩვენი ლვინია, დედა!—გაისმა საზარელი ხმა ღობეზე მომდგარ ჯგუფში,

ჯგუფი შეინძრა, აჩოჩქოლდა,

— სსუუ, გაჩუმდი, გაჩუმდი!—

— გააჩუმეთ, ეგ მამაძაღლი ეგა!!

— გაჩუმდი, კრინტი არ დასძრა! დახედე ერთი ამას!

— раззагнать!—გაისმა ამ ჩურჩულში სასტიკი, მაღალი ხმა აფიცრისა და... ყველაფერი აირია.

თხუთმეტი ცხენოსანი ჯგუფს დაერია... ცხენები ფრუტუნებდნენ, მათრახები ჰაერში ადიოდ-დადიოდა. წივილ-კივილისა, ტირილისა, ლანძღვა-გინებისა და ღობეების ლაწა-ლუწისაგან ყურთა-სმენა აღარ იყო.

ნატაშა გადიდებული თვალებით, თმა გაწეწილი და ხელებ გაშეერილი იდგა ერთ ალაგას გაშეშებული და შეშლილივით შეჰყურებდა ამ სურათს. მისი გადაფითრებული ტუჩები თითქოს ჩურჩულებდნენ: „მე ვუბრძანე, ჩემი ბრძანებით ხდება ყველა ეს".

ღობის ძირში ერთს ყმაწვილ გლეხს, გადაფითრებულის სახითა და სისხლიანებული თვალებით, ერთი კაზაკისთვის ყელში წაევლო და ღობეზე მიეკრა. გარს შემოხვევოდა რამდენიმე ცხენოსანი და თავსა და პირში, ხელზე, ზურგზე მათრახებს სცემდა. უცბათ ჰაერში ხმალმა იპრიალა და გლეხი წაიორტმანდა, ღობეს მეყრდნო.

ნატაშა შეინძრა, წინ გაექანა და საზარლად შეჰყვირა!

— მოჰკლეს მოჰკლეს, ღვთის გულისათვის, უშველეთ, უშველეთ!—უცბად შემოტრიალდა და ლევანის ხელებზე გადაესვენა...

დაბინდდა... ხმაურობა მიწყდა. აქა-იქ სოფლის უბნებში ძაღლები წკავწკავებდნენ. მხოლოდ სკოლის შენობის ეზოში კვლავ გაისმოდა ცხენების ფრუტუნი და მხედრების მაღალ-ხმიანი ოხუნჯობა.

ხვ. ყიფიანი.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი**.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი**.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ასტამაროვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113. ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19. ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში" და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძესთან.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.